

შპს „ლუკა“

ფინანსური ანგარიშგება და მმართველობის ანგარიშგება,  
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად  
2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და  
ამავე თარიღით დასრულებული წლისათვის

თბილისი 2025

## სარჩევი

|                                                            |    |
|------------------------------------------------------------|----|
| დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა                            | 3  |
| ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება                         | 7  |
| მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება        | 8  |
| საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება                 | 9  |
| ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება                     | 10 |
| 1. ძირითადი საქმიანობა და ზოგადი ინფორმაცია                | 11 |
| 2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა                       | 12 |
| 3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები | 18 |
| 4. ძირითადი საშუალებები                                    | 20 |
| 5. მარაგები                                                | 21 |
| 6. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები                              | 21 |
| 7. ფული და ფულის ეკვივალენტები                             | 22 |
| 8. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები                           | 22 |
| 9. მიღებული სესხები                                        | 22 |
| 10. შემოსავალი რეალიზაციიდან                               | 23 |
| 11. რეალიზებული საქონლის თვითღირებულება                    | 23 |
| 12. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები                      | 23 |
| 13. ფინანსური ხარჯები                                      | 24 |
| 14. არასაოპერაციო შემოსავლები                              | 24 |
| 15. არასაოპერაციო ხარჯები                                  | 24 |
| 16. მოგება საკუროსო სხვაობიდან                             | 25 |
| 17. ნაშთები და ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან          | 25 |
| 18. ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულება        | 25 |
| 19. შესადარისი ფინანსური ანგარიშგების გადაანგარიშება       | 27 |
| 20. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები              | 28 |
| 21. მმართველობის ანგარიშგება                               | 29 |

## დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს „ლუკას“ დამფუძნებლებსა და ხელმძღვანელობას

## დასკვნა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

### მოსაზრება

ჩავატარეთ შპს „ლუკას“ (შემდგომში „კომპანიის“) ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც მოიცავს 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებულ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას, ასევე აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგების, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებას, ასევე ფინანსურ ანგარიშგებაზე დართულ შენიშვნებს, მათ შორის არსებით ინფორმაციას სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ.

ჩვენი აზრით, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს შპს „ლუკას“ ფინანსურ მდგომარეობას 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ წლისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მსს ფასს ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტების შესაბამისად.

### მოსაზრების საფუძველი

აუდიტს წარვმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასსების) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის - „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“ - ნაწილში. ჩვენ დამოუკიდებელი ვართ კომპანიისგან ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის საერთაშორისო კოდექსის (მათ შორის დამოუკიდებლობის საერთაშორისო სტანდარტები) (ბესსს-ის კოდექსი) და იმ ეთიკური მოთხოვნების შესაბამისად, რომლებიც ეხება ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტსაქართველოს იურისდიქციაში; გარდა ამისა, შევასრულეთ ამ მოთხოვნებით და ბესსსს-ის კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტის მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

### სხვა გარემოებები

კომპანიის 2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგების აუდიტი ჩაატარა სხვა აუდიტორმა, რომელმაც პირობითი მოსაზრება გამოთქვა ამ ანგარიშგების შესახებ 2024 წლის 30 სექტემბერს.

### სხვა ინფორმაცია - მმართველობის ანგარიშგება

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობას წარმოადგენს, მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირების ზედამხედველობით, უზრუნველყოს სამეურნეო სუბიექტის საქმიანობის წარმართვა კანონმდებლობის შესაბამისად, მათ შორის, ისეთი კანონებისა და სხვა ნორმატიული აქტების დებულებების დაცვით,

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებლები არიან კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

## აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; გვეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტის პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტის მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას;
- ჩვენ შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერისი შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგვემოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტის პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე;
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობას და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას;
- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტის მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტის მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვასთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

დამოუკიდებელი აუდიტორის ამ დასკვნაში მოცემული აუდიტის შედეგებზე პასუხისმგებელია გარიგების პარტნიორი:

გოჩა ჭოლოკავა

რეგისტრაციის ნომერი: SARAS-A-374286

შპს „ფი ქეი ეფ ჯორჯია“-ს სახელით (ფირმის რეგისტრაციის ნომერი: SARAS-F-798362)

ი. ნიკოლაძის N3,

თბილისი 0108, საქართველო

25 აგვისტო, 2025

დამოუკიდებელი აუდიტორის ამ დასკვნაში მოცემული აუდიტის შედეგებზე პასუხისმგებელია გარიგების პარტნიორი:

გოჩა ჭოლოკავა

რეგისტრაციის ნომერი: SARAS-A-374286

შპს „ფი ქეი ეფ ჯორჯია“-ს სახელით (ფირმის რეგისტრაციის ნომერი: SARAS-F-798362)

ი. ნიკოლაძის N3,

თბილისი 0108, საქართველო

25 აგვისტო, 2025



შპს „ლუკა“  
 ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება  
 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის  
 ქართულ ლარში

|                                       | შენიშვნები | 31/12/2024        | 31/12/2023<br>გადაანგარიშებული | 01/01/2023<br>გადაანგარიშებული |
|---------------------------------------|------------|-------------------|--------------------------------|--------------------------------|
| <b>აქტივები</b>                       |            |                   |                                |                                |
| <b>გრძელვადიანი აქტივები</b>          |            |                   |                                |                                |
| არამატერიალური აქტივები               |            | 17,999            | 20,160                         | 467                            |
| ძირითადი საშუალებები                  | 4          | 6,713,351         | 6,329,010                      | 5,901,501                      |
| <b>სულ გრძელვადიანი აქტივები</b>      |            | <b>6,731,350</b>  | <b>6,349,170</b>               | <b>5,901,968</b>               |
| <b>მოკლევადიანი აქტივები</b>          |            |                   |                                |                                |
| მარაგები                              | 5          | 5,458,510         | 8,646,333                      | 5,652,090                      |
| სავაჭრო და სხვა მოთხოვნები            | 6          | 2,536,216         | 1,036,248                      | 2,576,234                      |
| წინასწარ გადახდილი ხარჯები            |            | -                 | -                              | 76,667                         |
| ფული და ფულის ეკვივალენტები           | 7          | 898,480           | 270,425                        | 403,651                        |
| <b>სულ მოკლევადიანი აქტივები</b>      |            | <b>8,893,206</b>  | <b>9,953,006</b>               | <b>8,708,642</b>               |
| <b>სულ აქტივები</b>                   |            | <b>15,624,556</b> | <b>16,302,176</b>              | <b>14,610,610</b>              |
| <b>კაპიტალი</b>                       |            |                   |                                |                                |
| საწესდებო კაპიტალი                    |            | 5,200             | 5,200                          | 5,200                          |
| დაგროვილი მოგება                      |            | 8,330,516         | 10,322,031                     | 11,678,774                     |
| <b>სულ კაპიტალი</b>                   |            | <b>8,335,716</b>  | <b>10,327,231</b>              | <b>11,683,974</b>              |
| <b>ვალდებულებები</b>                  |            |                   |                                |                                |
| <b>გრძელვადიანი ვალდებულებები</b>     |            |                   |                                |                                |
| მიღებული სესხები                      | 9          | 4,051,070         | 1,337,894                      | 1,757,181                      |
| <b>სულ გრძელვადიანი ვალდებულებები</b> |            | <b>4,051,070</b>  | <b>1,337,894</b>               | <b>1,757,181</b>               |
| <b>მოკლევადიანი ვალდებულებები</b>     |            |                   |                                |                                |
| მიღებული სესხები                      | 9          | 2,940,616         | 4,349,263                      | 1,069,044                      |
| საგადასახადო ვალდებულებები            |            | 172,543           | 65,324                         | -                              |
| სავაჭრო და სხვა ვალდებულებები         | 8          | 124,611           | 222,464                        | 100,411                        |
| <b>სულ მოკლევადიანი ვალდებულებები</b> |            | <b>3,237,770</b>  | <b>4,637,051</b>               | <b>1,169,455</b>               |
| <b>სულ ვალდებულებები</b>              |            | <b>7,288,840</b>  | <b>5,974,945</b>               | <b>2,926,636</b>               |
| <b>სულ კაპიტალი და ვალდებულებები</b>  |            | <b>15,624,556</b> | <b>16,302,176</b>              | <b>14,610,610</b>              |

ფინანსური ანგარიშგება გამოიცა და დამტკიცდა 2025 წლის 25 აგვისტოს:

ხელმოწერი პირი

ბადრი ჩხიკვაძე

დირექტორი

შენიშვნები გვერდებზე 11-28 წარმოადგენს აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელ ნაწილს. დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა მოცემულია გვერდებზე 3-6.

შპს „ლუკა“  
 ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება  
 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის  
 ქართულ ლარში

|                                       | შენიშვნები | 31/12/2024        | 31/12/2023<br>გადაანგარიშებული | 01/01/2023<br>გადაანგარიშებული |
|---------------------------------------|------------|-------------------|--------------------------------|--------------------------------|
| <b>აქტივები</b>                       |            |                   |                                |                                |
| <b>გრძელვადიანი აქტივები</b>          |            |                   |                                |                                |
| არამატერიალური აქტივები               |            | 17,999            | 20,160                         | 467                            |
| ძირითადი საშუალებები                  | 4          | 6,713,351         | 6,329,010                      | 5,901,501                      |
| <b>სულ გრძელვადიანი აქტივები</b>      |            | <b>6,731,350</b>  | <b>6,349,170</b>               | <b>5,901,968</b>               |
| <b>მოკლევადიანი აქტივები</b>          |            |                   |                                |                                |
| მარაგები                              | 5          | 5,458,510         | 8,646,333                      | 5,652,090                      |
| სავაჭრო და სხვა მოთხოვნები            | 6          | 2,536,216         | 1,036,248                      | 2,576,234                      |
| წინასწარ გადახდილი ხარჯები            |            | -                 | -                              | 76,667                         |
| ფული და ფულის ეკვივალენტები           | 7          | 898,480           | 270,425                        | 403,651                        |
| <b>სულ მოკლევადიანი აქტივები</b>      |            | <b>8,893,206</b>  | <b>9,953,006</b>               | <b>8,708,642</b>               |
| <b>სულ აქტივები</b>                   |            | <b>15,624,556</b> | <b>16,302,176</b>              | <b>14,610,610</b>              |
| <b>კაპიტალი</b>                       |            |                   |                                |                                |
| საწესდებო კაპიტალი                    |            | 5,200             | 5,200                          | 5,200                          |
| დაგროვილი მოგება                      |            | 8,330,516         | 10,322,031                     | 11,678,774                     |
| <b>სულ კაპიტალი</b>                   |            | <b>8,335,716</b>  | <b>10,327,231</b>              | <b>11,683,974</b>              |
| <b>ვალდებულებები</b>                  |            |                   |                                |                                |
| <b>გრძელვადიანი ვალდებულებები</b>     |            |                   |                                |                                |
| მიღებული სესხები                      | 9          | 4,051,070         | 1,337,894                      | 1,757,181                      |
| <b>სულ გრძელვადიანი ვალდებულებები</b> |            | <b>4,051,070</b>  | <b>1,337,894</b>               | <b>1,757,181</b>               |
| <b>მოკლევადიანი ვალდებულებები</b>     |            |                   |                                |                                |
| მიღებული სესხები                      | 9          | 2,940,616         | 4,349,263                      | 1,069,044                      |
| საგადასახადო ვალდებულებები            |            | 172,543           | 65,324                         | -                              |
| სავაჭრო და სხვა ვალდებულებები         | 8          | 124,611           | 222,464                        | 100,411                        |
| <b>სულ მოკლევადიანი ვალდებულებები</b> |            | <b>3,237,770</b>  | <b>4,637,051</b>               | <b>1,169,455</b>               |
| <b>სულ ვალდებულებები</b>              |            | <b>7,288,840</b>  | <b>5,974,945</b>               | <b>2,926,636</b>               |
| <b>სულ კაპიტალი და ვალდებულებები</b>  |            | <b>15,624,556</b> | <b>16,302,176</b>              | <b>14,610,610</b>              |

ფინანსური ანგარიშგება გამოიცა და დამტკიცდა 2025 წლის 25 აგვისტოს:

ხელმოწერი პირი

ბადრი ჩხიკვაძე

დირექტორი



შენიშვნები გვერდებზე 11-28 წარმოადგენს აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელ ნაწილს. დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა მოცემულია გვერდებზე 3-6.

შპს „ლუკა“  
 მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება  
 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის  
 ქართულ ლარში

|                                        | შენიშვნები | 2024             | 2023<br>გადაანგარიშებული |
|----------------------------------------|------------|------------------|--------------------------|
| შემოსავალი რეალიზაციიდან               | 10         | 21,143,273       | 23,701,765               |
| რეალიზებული საქონლის თვითღირებულება    | 11         | (16,003,751)     | (18,460,848)             |
| <b>საერთო მოგება</b>                   |            | <b>5,139,522</b> | <b>5,240,917</b>         |
| მიწოდების ხარჯები                      |            | (4,809)          | -                        |
| საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები      | 12         | (3,767,621)      | (3,113,906)              |
| <b>შედეგი საოპერაციო საქმიანობიდან</b> |            | <b>1,367,092</b> | <b>2,127,011</b>         |
| ფინანსური ხარჯები                      | 13         | (637,541)        | (361,101)                |
| ფინანსური შემოსავლები                  |            | 587              | 4,629                    |
| ზარალი საკუროსო სხვაობიდან             | 16         | (96,493)         | (71,793)                 |
| არასაოპერაციო შემოსავლები              | 14         | 350,773          | 130,403                  |
| არასაოპერაციო ხარჯები                  | 15         | (533,568)        | (117,166)                |
| <b>მოგება დაბეგვრამდე</b>              |            | <b>450,850</b>   | <b>1,711,983</b>         |
| მოგების გადასახადი                     |            | (316,243)        | (460,319)                |
| <b>წლის მოგება</b>                     |            | <b>134,607</b>   | <b>1,251,664</b>         |
| <b>სხვა სრული შემოსავალი</b>           |            |                  |                          |
| წლის სხვა სრული შემოსავალი             |            | -                | -                        |
| <b>სულ მთლიანი სრული შემოსავალი</b>    |            | <b>134,607</b>   | <b>1,251,664</b>         |

ფინანსური ანგარიშგება გამოიცა და დამტკიცდა 2025 წლის 25 აგვისტოს:

ხელმომწერი პირი

ბადრი ჩხიკვაძე

დირექტორი

შენიშვნები გვერდებზე 11-28 წარმოადგენს აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელ ნაწილს. დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა მოცემულია გვერდებზე 3-6.

ქართულ ღარში

8

შპს „ლუკა“

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის

ქართულ ლარში

|                                                                   | საწესდებო<br>კაპიტალი | დაგროვილი<br>მოგება | სულ<br>კაპიტალი    |
|-------------------------------------------------------------------|-----------------------|---------------------|--------------------|
| <b>გადაანგარიშებული ნაშთი 2023 წლის 1 იანვრის მდგომარეობით</b>    | <b>5,200</b>          | <b>11,678,774</b>   | <b>11,683,974</b>  |
| წლის მოგება                                                       | -                     | 1,251,664           | 1,251,664          |
| წლის სრული შემოსავალი                                             | -                     | <b>1,251,664</b>    | <b>1,251,664</b>   |
| გამოცხადებული დივიდენდები                                         | -                     | (2,608,407)         | (2,608,407)        |
| მფლობელებთან დაკავშირებული ოპერაციები                             | -                     | <b>(2,608,407)</b>  | <b>(2,608,407)</b> |
| <b>გადაანგარიშებული ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით</b> | <b>5,200</b>          | <b>10,322,031</b>   | <b>10,327,231</b>  |
| წლის მოგება                                                       |                       | 134,607             | 134,607            |
| წლის სრული შემოსავალი                                             | -                     | <b>134,607</b>      | <b>134,607</b>     |
| გამოცხადებული დივიდენდები                                         | -                     | (2,126,122)         | (2,126,122)        |
| მფლობელებთან დაკავშირებული ოპერაციები                             | -                     | <b>(2,126,122)</b>  | <b>(2,126,122)</b> |
| <b>ნაშთი 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით</b>                  | <b>5,200</b>          | <b>8,330,516</b>    | <b>8,335,716</b>   |

შენიშვნები გვერდებზე 11-28 წარმოადგენს აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელ ნაწილს. დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა მოცემულია გვერდებზე 3-6.

## შპს „ლუკა“

## ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

ქართულ ლარში

|                                                                   | შენიშვნები | 2024             | 2023<br>გადაანგარიშებული |
|-------------------------------------------------------------------|------------|------------------|--------------------------|
| <b>ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან</b>                   |            |                  |                          |
| წლის მოგება                                                       |            | 134,607          | 1,251,664                |
| <b>კორექტირებები:</b>                                             |            |                  |                          |
| ცვეთის და ამორტიზაციის ხარჯი                                      | 12         | 497,403          | 410,291                  |
| ზარალი საკუროსო სხვაობიდან                                        | 16         | 96,493           | 71,793                   |
| საექვო მოთხოვნებთან დაკავშირებული გაუფასურების ხარჯი              | 6          | 167,452          | 91,454                   |
| ფინანსური ხარჯი                                                   | 9          | 637,541          | 361,101                  |
| მოგების გადასახადის ხარჯი                                         |            | 316,243          | 460,319                  |
| სხვა კორექტირების ეფექტი                                          |            | -                | -                        |
| <b>საოპერაციო შედეგები საოპერაციო კაპიტალში ცვლილებამდე</b>       |            | <b>1,849,739</b> | <b>2,646,622</b>         |
| ცვლილება მარაგებში                                                | 5          | 3,187,823        | (2,994,243)              |
| ცვლილება სავაჭრო და სხვა მოთხოვნებში                              | 6          | (1,667,420)      | 1,448,532                |
| ცვლილება სავაჭრო და სხვა ვალდებულებებში                           | 8          | (97,853)         | 122,053                  |
| ცვლილება წინასწარ გაწეულ ხარჯებში                                 |            | -                | 76,667                   |
| ცვლილება საგადასახადო ვალდებულებებში                              |            | 107,219          | 65,324                   |
| <b>ცვლილება საბრუნავ კაპიტალში</b>                                |            | <b>1,529,769</b> | <b>(1,281,667)</b>       |
| გადახდილი პროცენტი                                                | 9          | (637,541)        | (361,101)                |
| გადახდილი მოგების გადასახადი                                      |            | (316,243)        | (460,319)                |
| <b>წმინდა ფული საოპერაციო საქმიანობიდან</b>                       |            | <b>2,425,724</b> | <b>543,535</b>           |
| <b>ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან</b>                 |            |                  |                          |
| ძირითადი საშუალებების შეძენა                                      | 4          | (896,639)        | (846,798)                |
| ძირითადი საშუალებების გაყიდვა                                     | 4          | 17,056           | 10,915                   |
| არამატერიალური აქტივების შეძენა                                   |            | -                | (21,610)                 |
| <b>წმინდა ფული საინვესტიციო საქმიანობიდან</b>                     |            | <b>(879,583)</b> | <b>(857,493)</b>         |
| <b>ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან</b>                    |            |                  |                          |
| სესხების მიღება                                                   | 9          | 5,948,745        | 8,173,320                |
| ნასესხები სახსრების გადახდა                                       | 9          | (4,644,216)      | (5,312,388)              |
| გადახდილი დივიდენდები                                             |            | (2,126,122)      | (2,608,407)              |
| <b>წმინდა ფული ფინანსური საქმიანობიდან</b>                        |            | <b>(821,593)</b> | <b>252,525</b>           |
| <b>ფულადი სახსრების და მათი ექვივალენტების წმინდა ზრდა</b>        |            | <b>724,548</b>   | <b>(61,433)</b>          |
| სავალუტო კურსის ცვლილებების გავლენა ფულსა და ფულის ექვივალენტებზე |            | (96,493)         | (71,793)                 |
| <b>ფული და ფულადი სახსრები პერიოდის დასაწყისში</b>                |            | <b>270,425</b>   | <b>403,651</b>           |
| <b>ფული და ფულის ექვივალენტები პერიოდის ბოლოს</b>                 |            | <b>898,480</b>   | <b>270,425</b>           |

შენიშვნები გვერდებზე 11-28 წარმოადგენს აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელ ნაწილს. დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა მოცემულია გვერდებზე 3-6.

## 1. ძირითადი საქმიანობა და ზოგადი ინფორმაცია

შპს „ლუკა“ (შემდგომში - „კომპანია“) 2011 წლიდან ოპერირებს ქართულ ბაზარზე, სამშენებლო-სარემონტო მასალებით საცალო და საბითუმო ვაჭრობის სფეროში. კომპანიის ძირითადი საქმიანობაა სამშენებლო მასალების იმპორტი, დამუშავება, მზა პროდუქციის მიღება და რეალიზაცია. კომპანია აწარმოებს თაბაშირ-მუყაოს ფილების, პროფილებისა და აქსესუარების წარმოებას. ასევე კომპანია აწარმოებს მაღალი ხარისხის მოთუთიებულ (გალვანიზირებული, შეღებილი) თუნუქისგან შენობა-ნაგებობების დასახურ სხვადასხვა სახის (გოფირებული თუნუქი, პროფილირებული ანუ პროფნასტილი, მეტალოკრამიტი, ბრტყელი ნაგლინი) მასალებს და მის აქსესუარებს. საწარმოს ერთ-ერთ მთავარ ხაზს წარმოადგენს მინაპლასტიკური არმატურის წარმოება. კომპანია ასევე ამზადებს წყალსაწრეტ სისტემებსა და პენოპლასტებს.

შპს „ლუკა“ წარმოადგენს გერმანული ბრენდის KNAUF -ის ოფიციალურ პარტნიორს აჭარის რეგიონში.

ს/კ:445395796

რეგისტრირებული, როგორც შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება 2011 წლის მარტში.

იურიდიული მისამართი: ქ. ბათუმი, ბაგრატიონის ქ. N122/მელიქიშვილის 1. N98.

ფაქტობრივი მისამართი: ქ. ბათუმი, ბაგრატიონის ქ. N122/მელიქიშვილის 1. N98.

დირექტორი: ბადრი ჩხიკვაძე (61006000601)

პარტნიორები:

ნაწული ბიბილეიშვილი - 45%-იანი წილის მფლობელი

ბადრი ჩხიკვაძე - 30%-იანი წილის მფლობელი

ჯაბა ქურიძე - 10%-იანი წილის მფლობელი

დავით ქურიძე - 10%-იანი წილის მფლობელი

ირაკლი ანუშიძე - 5%-იანი წილის მფლობელი

საზოგადოების საერთო კრების თავმჯდომარეს, წარმოადგენს კომპანიის მმართველი დირექტორი: ბადრი ჩხიკვაძე, საქართველოს მოქალაქე, საზოგადოების 30%-იანი წილის მფლობელი.

## საოპერაციო გარემო

საოპერაციო გარემო - საქართველოს ბაზარზე პოზიციონირება წარმოშობს დამატებით ეკონომიკურ, პოლიტიკურ, სოციალურ, სამართლებრივ და საკანონმდებლო რისკებს უფრო განვითარებულ ბაზართან შედარებით. კანონები და რეგულაციები, საგადასახადო და მარეგულირებელი ჩარჩოები ზეგავლენას ახდენენ საქართველოში ბიზნესის სწრაფ განვითარებაზე. საქართველოს მომავალ ეკონომიკურ კურსზე ზემოქმედებას ახდენს მთავრობის მიერ მიღებული ფისკალური და მონეტარული პოლიტიკა, საკანონმდებლო, მარეგულირებელ და პოლიტიკურ გარემოსთან ერთად.

რომლებიც ადგენს სამეურნეო სუბიექტის ფინანსურ ანგარიშგებაში და წლიურ ანგარიშში წარსადგენი თანხების ოდენობასა და გასამქლავნებელ ინფორმაციას.

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის (შემდგომში „კანონი“) მოთხოვნების შესაბამისად მმართველობის ანგარიშგების (საქმიანობის მიმოხილვის) მომზადებაზე, ასევე ისეთი შიდა კონტროლის დანერგვაზე და მათი საწამო პროცესში უწყვეტი ფუნქციონირების უზრუნველყოფაზე, რომელიც აუცილებელია თაღლითობისა თუ შეცდომებით გამოწვეული მცდარი ინფორმაციისგან თავისუფალი მმართველობის ანგარიშგების (საქმიანობის მიმოხილვის) მოსამზადებლად.

„კანონი“-ს შესაბამისად ჩვენ მოგვეთხოვება გამოვთქვათ ჩვენი მოსაზრება იმის შესახებ, შეესაბამება თუ არა მმართველობის ანგარიშგების შესაბამისი ნაწილი (საქმიანობის მიმოხილვა), შესაბამის მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებს და მოიცავს თუ არა ის კანონით მოთხოვნილ შესაბამის ინფორმაციას, ასევე თანხვედნილია თუ არა იმავე საანგარიშგებო პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებებთან.

ამ მიზნით ჩატარებული პროცედურები ეყრდნობა პროფესიულ მსჯელობას, რომელიც მოიცავს გამოკითხვას, დოკუმენტალურ შემოწმებას და ანალიზს, ასევე კანონის მოთხოვნებთან კომპანიის პროცედურების, პოლიტიკების და ანგარიშგებული ინფორმაციის შედარებას, წარმოდგენილი რაოდენობრივი და სხვა ინფორმაციის ურთიერთშედარებას, გადათვლასა და შეჯამებას.

თუ ჩვენ შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით დავასკვნით, რომ არსებითი უზუსტობა არსებობს ზემოაღნიშნულ მმართველობის ანგარიშგებაში (საქმიანობის მიმოხილვა), გვევალება ამ ფაქტის შესახებ ინფორმირება. ამასთან დაკავშირებით, ჩვენ არ აღმოგვიჩენია ისეთი საკითხი, რომლის შესახებაც აუცილებელი იქნებოდა ინფორმირება.

ჩვენი აზრით, აუდიტის მსვლელობისას შესრულებული სამუშაოს საფუძველზე, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით:

- მმართველობის ანგარიშგების შესაბამისი ნაწილი (საქმიანობის მიმოხილვა) შეესაბამება შესაბამის მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებს და მოიცავს კანონით მოთხოვნილ შესაბამის ინფორმაციას;
- მმართველობის ანგარიშგების შესაბამისი ნაწილი (საქმიანობის მიმოხილვა) თანხვედრაშია იმავე საანგარიშგებო პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებებთან.

## **ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე**

მენეჯმენტი პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მსს ფასს ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტებისა და იმ შიდა კონტროლის შესაბამისად, რასაც მენეჯმენტი ჩათვლის საჭიროდ ფინანსური ანგარიშგების მატერიალური შეცდომების გარეშე მოსამზადებლად, იქნება ეს განზრახ თუ უნებლიეთ გამოწვეული.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს კომპანიის ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

## 2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა

### მომზადების საფუძვლები

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის და ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (IASB) მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის მსს ფასს შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგება მოიცავს მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის, ფინანსური მდგომარეობის, კაპიტალში ცვლილებებისა და ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგებებს და ასევე განმარტებით შენიშვნებს სააღრიცხვო პოლიტიკისა და გამოყენებული მნიშვნელოვანი სააღრიცხვო მსჯელობებისა და დაშვებების ჩათვლით.

საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე.

ფინანსური ანგარიშგების მსს ფასს–ის მიხედვით მომზადება კომპანიის ხელმძღვანელობისგან ითხოვს გარკვეული შეფასებების გაკეთებას, რაც გავლენას იქონიებს აქტივებისა და ვალდებულებების საანგარიშო ღირებულებაზე ფინანსური ანგარიშგების შედგენის თარიღისათვის, ასევე იმოქმედებს შემოსავლისა და ხარჯების ოდენობაზე საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში. ფაქტიური შედეგები შესაძლოა განსხვავდებოდეს მიმდინარე შეფასებისაგან. შეფასებები პერიოდულად გადაიხედება.

კორექტირებები, რამაც სააღრიცხვო შეფასებების ცვლილებები გამოიწვია, მიეკუთვნება იმ პერიოდის ფინანსურ შედეგებს, როცა ეს ცვლილებები გატარდა. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებების შესახებ განმარტებები მოცემულია მე-3 შენიშვნაში.

### შეფასების საფუძველი

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების მეთოდით, თუ ქვემოთ მოცემულ სააღრიცხვო პოლიტიკაში სხვა რამ არ არის ნახსენები. ისტორიული ღირებულება ზოგადად დაფუძნებულია აქტივების სანაცვლოდ გაცემული თანხის სამართლიან ღირებულებაზე.

### ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება

მენეჯმენტმა აღნიშნული ფინანსური ანგარიშგება მოამზადა ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვებით. აღნიშნული გადაწყვეტილების მისაღებად მენეჯმენტმა გაითვალისწინა კომპანიის ფინანსური მდგომარეობა, მიმდინარე გეგმები, დადებითი ფულადი სახსრების მოძრაობა, კომპანიის ოპერაციების მომგებიანობა და საჭიროების შემთხვევაში ადგილობრივ ფინანსურ რესურსებზე წვდომა, ანგარიშგების პერიოდის შემდგომ მინიმუმ 12 თვის განმავლობაში. დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ შენიშვნა 3.2.

### შეფასების და წარდგენის ვალუტა

კომპანიის სამუშაო და წარსადგენ ვალუტას წარმოადგენს საქართველოს ეროვნული ვალუტა - ქართული ლარი (GEL). ოპერაციები უცხოურ ვალუტაში, თავდაპირველად ჩაიწერება სამუშაო ვალუტაში ოპერაციის დღისთვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ განსაზღვრული კურსით. უცხოურ ვალუტაში ასახული მონეტარული აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ვალუტის გაცვლის ოფიციალური კურსის შესაბამისად ანგარიშგების თარიღისთვის. კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორის სხვაობები აისახება მოგებისა და ზარალის ანგარიშებზე და ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულია მუხლში - „კურსთაშორის სხვაობიდან მიღებული მოგება/ (ზარალი)“.

უცხოური ვალუტით მიღებული არამონეტარული მუხლები შეფასებულია ოპერაციის დღის კურსით.

უცხოური ვალუტის მონეტარული ნაშთების კონვერტირებისათვის გამოყენებული გაცვლითი კურსები არის შემდეგი:

| თარიღი      | USD    | EUR    |
|-------------|--------|--------|
| 31-დეკ-2024 | 2.8068 | 2.9306 |
| 31-დეკ-2023 | 2.6894 | 2.9753 |

## ფინანსური ინსტრუმენტები

### თავდაპირველი აღიარება

პირველად აღიარებისას ფინანსური აქტივი ან ფინანსური ვალდებულება შეფასდება გარიგების ფასით (გარიგების დანახარჯების ჩათვლით, ისეთი ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებებისა გარდა, რომლებიც შემდგომში უნდა შეფასდეს რეალური ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით).

თუ შეთანხმება ფინანსურ ოპერაციას წარმოადგენს, საწარმო ფინანსურ აქტივს ან ფინანსურ ვალდებულებას აფასებს მომავალი გადასახდელების დღევანდელი ღირებულებით, რომელიც დისკონტირებულია მსგავსი სავალსე ინსტრუმენტისთვის გამოყენებული საბაზრო საპროცენტო განაკვეთით და განისაზღვრება თავდაპირველი აღიარებისას.

სავალსე ინსტრუმენტები, რომლებიც კლასიფიცირებულია, როგორც მოკლევადიანი აქტივები ან მოკლევადიანი ვალდებულებები, შეფასებულია გადასახდელი ან მისაღები ფულადი სახსრების ან სხვა

სახის კომპენსაციის არადისკონტირებული ღირებულებით (და გაუფასურების გამოკლებით), იმ შემთხვევის გარდა, როდესაც შეთანხმება შინაარსით ფინანსურ ოპერაციას წარმოადგენს.

### მიმდინარე და გრძელვადიანად კლასიფიცირება

აქტივები და ვალდებულებები წარმოდგენილია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მიმდინარე და გრძელვადიანი კლასიფიკაციის მიხედვით.

აქტივი კლასიფიცირდება როგორც მიმდინარე, როდესაც: ან მოსალოდნელია მისი რეალიზაცია ან მისი გაყიდვა ან მოხმარება კომპანიის ნორმალურ საოპერაციო ციკლში; კომპანია მას ფლობს ძირითადად გაყიდვის მიზნით; მოსალოდნელია მისი რეალიზაცია საანგარიშგებო პერიოდის დასრულებიდან 12 თვის განმავლობაში; ან აქტივი არის ნაღდი ფული ან ფულადი ექვივალენტი, თუ არ არის შეზღუდული მისი გაცვლა ან გამოყენება ვალდებულების დასაფარად საანგარიშგებო პერიოდიდან მინიმუმ 12 თვის განმავლობაში. ყველა სხვა აქტივი კლასიფიცირებულია, როგორც გრძელვადიანი.

ვალდებულება კლასიფიცირდება როგორც მიმდინარე, როდესაც: ან მოსალოდნელია მისი დაფარვა კომპანიის ნორმალურ საოპერაციო ციკლში; იგი იმართება ძირითადად ვაჭრობის მიზნით; ის გადახდილი უნდა იყოს საანგარიშგებო პერიოდიდან 12 თვის განმავლობაში; ან არ არსებობს უპირობო უფლება, ვალდებულების დაფარვის გადავადების საანგარიშგებო პერიოდის დასრულებიდან არანაკლებ 12 თვით. ყველა სხვა ვალდებულება კლასიფიცირდება როგორც გრძელვადიანი.

გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულება ყოველთვის კლასიფიცირდება როგორც მოკლევადიანი.

### მოგების და სხვა გადასახადები

მიმდინარე გადასახადი არის საგადასახადო ვალდებულება პერიოდის დასაბეგრ მოგებაზე/(ზარალზე), რომელიც გაანგარიშებულია ანგარიშგების თარიღისთვის არსებული საგადასახადო განაკვეთით და ითვალისწინებს წინა წლებთან დაკავშირებული საგადასახადო ვალდებულების ყველა შესაძლო შესწორებას.

მიმდინარე საგადასახადო მოდელის მიხედვით, რომელიც საქართველოში მოქმედებს 2017 წლის 1 იანვრიდან („კორპორატიული დაბეგვრის ესტონური მოდელი“), მოგების გადასახადის განაკვეთი

განისაზღვრა ნულოვანი განაკვეთით გაუნაწილებელ მოგებაზე, და 15%-იანი განაკვეთით განაწილებულ მოგებაზე. ცვლილებების შედეგად, 2017 წლის 1 იანვრიდან კომპანიები იბეგრებიან მოგების გადასახდით, თუ მოხდება მოგების განაწილება (მოგების, როგორც დივიდენდის განაწილება აქციონერებზე) და ინდივიდუალური ტრანზაქციები, რომლებიც შეიძლება მოგების ირიბად განაწილებად ჩაითვალოს (სარგებელი, საჩუქარი, გადახდები, ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან, რომლებიც არ არის განხორციელებული გაშლილი ხელის პრინციპით, ხარჯები რომლებიც არ არის დაკავშირებული ეკონომიკურ საქმიანობასთან და სხვა).

დივიდენდის გაცემიდან წარმოქმნილი მოგების გადასახადი აღიარდება ხარჯადიმ პერიოდში, როცა დივიდენდი გამოცხადდა, მიუხედავად მათი რეალური გადახდის თარიღის, ან პერიოდისა, რომელშიც მოხდა ამ დივიდენდის გატანა. განაკვეთი წარმოადგენს განაწილებული მოგების 15/85 ნაწილს.

აღნიშნული ცვლილების გამო, არ წარმოიქმნება დროებითი სხვაობები კომპანიის აქტივებსა და ვალდებულებებში, ანგარიშგებაში, ფინანსური და საგადასახადო ბაზის საფუძველზე. შესაბამისად გადავადებული საგადასახო აქტივი და ვალდებულება, როგორც განსაზღვრულია ბასს 12 მოგებიდან გადასახადებით არ წარმოიქმნება 2017 წლის 1 იანვრიდან და არ არის ასახული ამ ფინანსურ ანგარიშგებებში.

საქართველოში ასევე მოქმედებს სხვადასხვა საოპერაციო გადასახადი, რომლებიც გავლენას ახდენს კომპანიის საქმიანობაზე. ეს გადასახადები არის საერთო და ადმინისტრაციული ხარჯების კომპონენტი, კერძოდ ქონების გადასახადი აისახება საოპერაციო გადასახადებში.

დამატებული ღირებულების გადასახადი (დღგ), რომელიც უკავშირდება გაყიდვებს, გადასახდელია საგადასახადო ორგანოში, როდესაც მოხდება საქონლის ან მომსახურების მიწოდება. შესყიდვებზე გადახდილი დღგ ჩაითვლება გადასახდელ დღგ-სთან, როდესაც მოხდება კომპანიის მიერ ანგარიშ-ფაქტურის მიღება. საგადასახადო ორგანოსმიერ ნებადართულია რომ დღგ-ს ანგარიშსწორება განხორციელდეს ნეტო ბაზისზე. გაყიდვებზე და შესყიდვებზე დარიცხული დღგ ფინანსურ ანგარიშგებაში წარდგენილია ნეტო თანხით. როდესაც კომპანიის მიერ მოთხოვნებთან დაკავშირებით იქმნება გაუფასურების ანარიცხი, იგი მოიცავს მისაღები დღგ-ს თანხებსაც.

## ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს, ბანკებში არსებულ მიმდინარე ანგარიშებს და დეპოზიტებს. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით. უცხოურ ვალუტაში არსებული ფულადი სახსრები ეროვნულ ვალუტაში გადაანგარიშებულია ბალანსის შედგენის თარიღისათვის არსებული გასაცვლელი კურსით.

## ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების თავდაპირველი აღიარება ხდება თვითღირებულებით. თვითღირებულება მოიცავს შესყიდვის ფასს, სხვა პირდაპირ დანახარჯებს და აქტივის დემონტაჟთან, ლიკვიდაციასა და ადგილმდებარეობის აღდგენასთან დაკავშირებული ნებისმიერი აუცილებელი მომავალი ფულადი ნაკადების მიმდინარე შეფასებას.

მომავალი პერიოდის დანახარჯები ემატება აქტივის საბალანსო ღირებულებას, ან აღიარდება ცალკე აქტივად, იმ შემთხვევაში, თუ მოსალოდნელია, რომ აქტივთან დაკავშირებული მომავალი ეკონომიკური სარგებელი შემოვა კომპანიაში და აქტივის დანახარჯების განსაზღვრა საიმედოდაა შესაძლებელი. ყველა სხვა დანახარჯი, რომელიც დაკავშირებულია აქტივის შეკეთებასა და შენარჩუნებასთან, აღიარდება იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, რომელიც წარმოიშვა.

შენიშვნები განიხილება დამოუკიდებელ აქტივებად და აღირიცხება ცალ-ცალკე, ძირითადი საშუალების ერთეულის საბალანსო ღირებულების აღიარება წყდება გაყიდვის შემთხვევაში ან როდესაც მისი გაყიდვიდან ან გამოყენებიდან არანაირი ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარ არის მოსალოდნელი.

ძირითადი საშუალების ერთეულის აღიარების შეწყვეტის შედეგად მიღებული შემოსულობა ან ზარალი აისახება იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში. როდესაც აღიარების შეწყვეტა მოხდა, შემოსულობა არ უნდა კლასიფიცირდეს როგორც ამონაგები.

ძირითადი საშუალების ცვეთა იწყება მაშინ, როდესაც აქტივი მზადაა გამოსაყენებლად. ცვეთის გამოთვლა ხდება წრფივი მეთოდით. ასევე, გაითვალისწინება აქტივის ტექნიკური მოძველება და ფიზიკური ცვეთა.

მიწას და დაუმთავრებელ მშენებლობას ცვეთა არ ერიცხება. ძირითადი საშუალებებს ცვეთა ერიცხება წრფივი მეთოდით, ძირითადი საშუალების სასარგებლო მომსახურების ვადის შესაბამისად.

| ჯგუფი                    | სასარგებლო მომსახურების ვადები |
|--------------------------|--------------------------------|
| მანქანა-დანადგარები      | 2-15                           |
| ოფისის აღჭურვილობა       | 2-10                           |
| ავეჯი და სხვა ინვენტარი  | 2-10                           |
| სატრანსპორტო საშუალებები | 5-10                           |
| შენობა-ნაგებობები        | 7-20                           |

#### არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივების შეფასება ხდება დაგროვილი ცვეთისა და გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულებით. ცვეთის დარიცხვა ხდება იმგვარად, რომ აქტივის ნარჩენი ღირებულებით შემცირებული თვითღირებულების განაწილება მოხდეს აქტივის მთელი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში.

#### ამონაგების აღიარება

კომპანია ამონაგებს აფასებს მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით, საიდანაც გამოქვითულია კომპანიის მიერ გაცემული ყველანაირი სავაჭრო ფასდათმობა, ასევე ვადაზე ადრე გადახდასთან დაკავშირებული და სხვა ფასდათმობები.

საქონლის გაყიდვის შედეგად მიღებული ამონაგების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც კომპანია მყიდველს გადასცემს საქონლის საკუთრებასთან დაკავშირებულ ყველა მნიშვნელოვან რისკსა და სარგებელს;

მის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს უცხოური ნედლეულის იმპორტი, დამუშავება და მისგან მზა პროდუქციის მიღება. კომპანია აწარმოებს თაბაშირ-მუყაოს ფილების, პროფილებისა და აქსესუარების ნაირსახეობას. ასევე კომპანია აწარმოებს მაღალი ხარისხის მოთუთიებულ (გალვანიზირებული, შეღებილი) თუნუქისგან შენობა-ნაგებობების დასახურ სხვადასხვა სახის (გოფირებული თუნუქი, პროფილირებული ანუ პროფნასტილი, მეტალოკრამიტი, ბრტყელი ნაგლინი) მასალებს და მის აქსესუარებს. საწარმოს ერთ-ერთ მთავარ ხაზს წარმოადგენს მინაპლასტიკური არმატურის წარმოება. კომპანია ასევე ამზადებს წყალსაწრეტ სისტემებსა და პენოპლასტებს.

## ხარჯების აღიარება

ხარჯების აღიარება ხდება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში, თუ წარმოიშობა მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირება, რაც დაკავშირებულია აქტივის შემცირებასა ან ვალდებულების ზრდასთან, რაც შეიძლება საიმედოდ განისაზღვროს.

## ხელფასები და თანამშრომელთა სხვა სარგებელი

ხელფასები, პრემიები, ბონუსები და თანამშრომელთა არაფულადი სარგებელი აღიარდება დარიცხვის მეთოდით იმ პერიოდში, როდესაც შესაბამისი სერვისი მიიღო ჯგუფმა დასაქმებულისგან.

## სესხები

სესხები თავდაპირველად აღიარდება რეალური ღირებულებით, გამოკლებული სესხთან დაკავშირებული გაცემის ხარჯებით. სხვაობა სამართლიან ღირებულებასა და ნომინალურ ღირებულებას შორის აღიარდება მოგებაში ან ზარალში. თავდაპირველი აღიარების შემდეგ, სესხები აისახება ამორტიზებული ღირებულებით, ხოლო სხვაობა თვითღირებულებასა და გამოსყიდვის ღირებულებას შორის აისახება მოგებაში ან ზარალში, სესხების პერიოდის განმავლობაში ეფექტური საპროცენტო განაკვეთის საფუძველზე. პროცენტები და სხვა ხარჯები, რომლებიც გაწეულია სესხებზე, მიეკუთვნება ფინანსურ ხარჯებს.

## მარაგები

კომპანიაში მარაგების შეფასება ხდება თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესი თანხით. მარაგების თვითღირებულება მოიცავს მათ შემენასა და გადამუშავებასთან დაკავშირებულ დანახარჯებს, აგრეთვე იმ დანახარჯებს, რომელიც გაწეულია მის მოცემულ ადგილამდე ტრანსპორტირებისა და სათანადო მდგომარეობაში მოყვანისათვის.

მარაგების ნეტო სარეალიზაციო ღირებულება არის შეფასებითი გასაყიდი ფასი, პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისათვის საჭირო შეფასებითი დანახარჯების გამოკლებით.

კომპანიის მარაგების ძირითადი ნაწილი მოიცავს საქმიანობასთან დაკავშირებულ ნედლეულსა და მასალებს და დაუმთავრებელ წარმოებას.

კომპანია ყოველი მომდევნო საანგარიშგებო თარიღისთვის ხელახლა აფასებს მარაგის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ გასაყიდ ფასს. როდესაც აღარ არსებობს მარაგის გაუფასურების გამომწვევი გარემოებები, ან, შეცვლილი ეკონომიკური ვითარების გამო, არსებობს მტკიცებულება, რომ მარაგის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებული გასაყიდი ფასი გაიზრდება, კომპანია აღადგენს გაუფასურების თანხას (უკუგატარებით) (ე.ი. კორექტირების თანხა შეზღუდულია თავდაპირველი გაუფასურების ზარალის ოდენობამდე) იმგვარად, რომ ახალი საბალანსო ღირებულება იყოს უმცირესი, თვითღირებულებასა და მისი დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ, შესწორებულ გასაყიდ ფასს შორის. მარაგები ჩამოიწერება საშუალო შეწონილი ღირებულების საფუძველზე.

## სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

საზოგადოება საქონლისა და მომსაურების გაყიდვებს ახორციელებს ნორმალურ საკრედიტო პირობებში, აქედან გამომდინარე, მოთხოვნებზე პროცენტის დარიცხვა არ ხდება.

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს საზოგადოება ახდენს სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებების შეფასებას, რათა განისაზღვროს, ხომ არ არსებობს თანხების

ამოუღებლობის რაიმე ობიექტური მტკიცებულება. ასეთის არსებობის შემთხვევაში, ხდება საექვო მოთხოვნების შეფასება და გაუფასურების ზარალის აღიარება მოგებაში ან ზარალში.

### სავაჭრო სხვა ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ნორმალურ საკრედიტო პირობებში განხორციელებული ოპერაციების დროს წარმოშობილ ვალდებულებებს, რომლებიც პროცენტის მატარებელი არ არის.

### ანარიცხები

ანარიცხების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც ჯგუფს წარსული მოვლენის გამო აქვს მიმდინარე (იურიდიული თუ არაკონტრაქტული) ვალდებულება, მოსალოდნელია, რომ ჯგუფს მოეთხოვება ამ ვალდებულების გასტუმრება და შესაძლებელია ვალდებულების ოდენობის სათანადო სიზუსტით განსაზღვრა. ანარიცხებად აღიარებული ოდენობა წარმოადგენს იმ თანხის ყველაზე ზუსტ შეფასებას, რომელიც საჭირო იქნება მიმდინარე ვალდებულების დასაფარად ანგარიშგების პერიოდის ბოლოსთვის, ამ ვალდებულებასთან დაკავშირებული რისკებისა და გაურკვევლობების გათვალისწინებით. როდესაც ანარიცხები ფასდება მიმდინარე ვალდებულების გასასტუმრებლად საჭირო ფულადი ნაკადებით, მისი საბალანსო ღირებულება არის ამ ფულადი ნაკადების დღევანდელი ღირებულება (თუ ფულის დროითი ღირებულების გავლენა მასზე არსებითია).

### რისკების მართვის პოლიტიკა და პროცედურები

ხელმძღვანელობის მიერ შემუშავებული რისკების მართვის პოლიტიკა მიზნად ისახავს საზოგადოების წინაშე არსებული რისკების იდენტიფიცირებას, ანალიზსა და მართვას, სათანადო რისკების ლიმიტების დაწესების, საკონტროლო მექანიზმების განსაზღვრისა და რისკების დონისა და ლიმიტების დაცვის რეგულარული მონიტორინგის გზით.

### კაპიტალის მართვა

საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი და შეზღუდული არ არის შესაბამის საქმიანობის პირობებში კაპიტალის მინიმალური სიდიდის მოთხოვნები.

კაპიტალის მართვასთან დაკავშირებით საზოგადოების მიზანია შეინარჩუნოს და გააგრძელოს საქმიანობა შემდგომში, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ ისე, რომ შეძლოს პარტნიორებისათვის მოგების მიცემა.

### დივიდენდი

საზოგადოების შესაძლებლობა, გამოაცხადოს და გადაიხადოს დივიდენდი, ექვემდებარება საქართველოს კანონმდებლობის მიერ დაწესებულ წესებსა და ნორმებს. გაუნაწილებელ მოგებაში დივიდენდების ასახვა ხორციელდება, მათი გამოცხადების პერიოდში.

### ურთიერთგაქვითვა

ფინანსური აქტივები და ვალდებულებები ექვემდებარება ურთიერთგაქვითვას, ხოლო წმინდა ოდენობა ბალანსში ასახვას, მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ადგილი აქვს აღიარებული თანხების ურთიერთგაქვითვის სამართლებრივად მოქმედ უფლებას, და სახეზეა განზრახვა წარმოებულ იქნას

ურთიერთგაქვითვა ნეტო-საფუძველზე ან ერთდროულად განხორციელებულ იქნას აქტივის რეალიზაცია და ვალდებულების შესრულება.

### საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები და ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევიან კომპანიას ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში. ბალანსის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენენ კომპანიას ფინანსურ მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის თარიღისათვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.

### 3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები

დაშვებები და მსჯელობები ეფუძნება ისტორიულ გამოცდილებას, ამასთან გაითვალისწინება სხვა ფაქტორებიც, როგორებიც არის მომავალი მოვლენების განვითარებასთან დაკავშირებული მოლოდინები, რომლებიც კონკრეტულ სიტუაციაში გონივრულად მიიჩნევა.

#### 3.1 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები

კომპანია ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და გადაწყვეტილებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისათვის. შეფასებები და გადაწყვეტილებები შემუშავებულია გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, რომელიც ითვალისწინებს კომპანიის ფუნქციონირებას განსაზღვრული მომავლის პირობებში. მომავალ პერიოდებში მიღებული გამოცდილება შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისაგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილების რისკის მატარებელია:

#### ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები

ძირითადი საშუალებების ცვეთა ხდება მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. სასარგებლო მომსახურების ვადების განსაზღვრა დამოკიდებულია მენეჯმენტის შეფასებებზე, თუ რა პერიოდის განმავლობაში მოელის იგი აქტივის გამოყენებიდან სარგებლის მიღებას. სასარგებლო მომსახურების ვადები პერიოდულად უნდა გადაიხედოს. შეფასების ცვლილებამ შესაძლოა არსებითი ცვლილება გამოიწვიოს ცალკეულ პერიოდებში საბალანსო ღირებულებასა და მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში ასახულ თანხებში.

#### გადასახადები

კომპანიის ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში არსებობს ისეთი ოპერაციები, რომელთათვისაც ნათლად არ არის განსაზღვრული ამა თუ იმ გადასახადთან დაკავშირებული საკითხები. შედეგად, კომპანია აფასებს, ეკისრება თუ არა მას დამატებითი გადასახადის გადახდის ვალდებულება და მათზე დაყრდნობით აღიარებს საგადასახადო ვალდებულებებს. ეს საგადასახადო ვალდებულებები აღიარდება მაშინ, როდესაც კომპანიას მიაჩნია თავისი საგადასახადო დეკლარაციები საიმედოდ, მაგრამ იგი თვლის, რომ შესაძლოა საგადასახადო ორგანოების მხრიდან პოზიცია იყოს განსხვავებული. შედეგად, კომპანიას მინიმუმამდე დაჰყავს აღნიშნული რისკი.

### **მარაგების წმინდა სარეალიზაციო ღირებულება**

კომპანიის მენეჯმენტი აფასებს მარაგების წმინდა სარეალიზაციო ღირებულებებს, თითოეული საანგარიშგებო თარიღისთვის არსებული ყველაზე საიმედო მტკიცებულებების გათვალისწინებით. ამ მარაგების მომავალ რეალიზაციაზე შეიძლება გავლენა იქონიოს სამომავლო ტექნოლოგიურმა ცვლილებებმა, ან ბაზრის სხვა ცვლილებებმა, რამაც შეიძლება შეამციროს მომავალი სარეალიზაციო ფასები.

### **დაკავშირებულ მხარეებთან განხორციელებული ტრანზაქციები**

კომპანია შედის გარიგებებში მის დაკავშირებულ მხარეებთან. ფასს 9 მოითხოვს გარკვეული ფინანსური ინსტრუმენტების თავდაპირველ აღიარებას სამართლიანი ღირებულებით. კომპანია განიხილავს, არის თუ არა გამოყენებული საბაზრო ფასი ტრანზაქციის განხორციელებისას, სადაც არსებობს აქტიური ბაზარი ასეთი გარიგებებისთვის. ასეთი მსჯელობის საფუძველს წარმოადგენს მსგავსი გარიგებები არადაკავშირებულ მხარეებთან.

### **3.2 ძირითადი ვარაუდები მომავალთან დაკავშირებით**

კომპანია ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და დაშვებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისათვის არსებულ გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის გათვალისწინებით.

მენეჯმენტმა, იმის შესაფასებლად აქვს თუ არა კომპანიას უნარი განაგრძოს საქმიანობა როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ შეაფასა არსებული და სამომავლოდ მოსალოდნელი ფულადი ნაკადები. მიმდინარე პერიოდში, კომპანიის მთლიანი სრული შემოსავალი შეადგენს 62,780 ლარს. გარდა ამისა, კომპანიის მიმდინარე აქტივები რამდენჯერმე აღემატება მიმდინარე ვალდებულებებს.

ზემოთ მოყვანილი მსჯელობის გათვალისწინებით, მენეჯმენტს სჯერა, რომ საქმიანობის უწყვეტობის დაშვების გამოყენება მართებული და შესაბამისია.

შპს „ლუკა“

2024 წლის ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები  
ქართულ ლარში

#### 4. ძირითადი საშუალებები

| თვითღირებულება              | მიწა      | შენობა-<br>ნაგებობები | მანქანა-<br>დანადგარები | ოფისის<br>აღჭურვილობა | ავიჯი და<br>სხვა<br>ინვენტარი | სატრანსპორტო<br>საშუალებები | დაუმთავრებელი<br>მშენებლობა | სულ         |
|-----------------------------|-----------|-----------------------|-------------------------|-----------------------|-------------------------------|-----------------------------|-----------------------------|-------------|
| 1/1/2023                    | 1,458,847 | 2,643,623             | 2,362,240               | 250,147               | 247,232                       | 1,991,870                   | 78,749                      | 9,032,708   |
| შესყიდვა                    | -         | 149,807               | -                       | 105,642               | 48,848                        | 621,250                     | 71,058                      | 996,605     |
| გაყიდვა                     | -         | -                     | (129,371)               | (3,407)               | (1,811)                       | (11,519)                    | -                           | (146,108)   |
| შიდა გადაადგილება           | -         | -                     | -                       | -                     | -                             | -                           | (149,807)                   | (149,807)   |
| 12/31/2023                  | 1,458,847 | 2,793,430             | 2,232,869               | 352,382               | 294,269                       | 2,601,601                   | -                           | 9,733,398   |
| შესყიდვა                    | -         | 37,591                | 319,421                 | 19,661                | 4,372                         | 515,594                     | -                           | 896,639     |
| გაყიდვა                     | -         | -                     | (273,763)               | (20,066)              | (26,190)                      | (101,442)                   | -                           | (421,461)   |
| კორექტირება                 | -         | 103                   | (1,713)                 | (5,186)               | (9,107)                       | -                           | -                           | (15,903)    |
| 12/31/2024                  | 1,458,847 | 2,831,124             | 2,276,813               | 346,791               | 263,344                       | 3,015,753                   | -                           | 10,192,672  |
| <b>აკუმულირებული ცვეთა</b>  |           |                       |                         |                       |                               |                             |                             |             |
| 1/1/2023                    | -         | (538,280)             | (1,486,270)             | (127,056)             | (102,535)                     | (877,066)                   | -                           | (3,131,207) |
| ცვეთის დარიცხვა             | -         | (89,703)              | (84,217)                | (37,704)              | (26,820)                      | (169,930)                   | -                           | (408,374)   |
| ცვეთის ამოტრიალება          | -         | -                     | 126,335                 | 4,922                 | -                             | 3,936                       | -                           | 135,193     |
| 12/31/2023                  | -         | (627,983)             | (1,444,152)             | (159,838)             | (129,355)                     | (1,043,060)                 | -                           | (3,404,388) |
| ცვეთის დარიცხვა             | -         | (89,221)              | (118,280)               | (45,476)              | (25,952)                      | (216,313)                   | -                           | (495,242)   |
| ცვეთის ამოტრიალება          | -         | -                     | 275,480                 | 23,549                | 35,036                        | 86,244                      | -                           | 420,309     |
| 12/31/2024                  | -         | (717,204)             | (1,286,952)             | (181,765)             | (120,271)                     | (1,173,129)                 | -                           | (3,479,321) |
| <b>საბალანსო ღირებულება</b> |           |                       |                         |                       |                               |                             |                             |             |
| 2023 წლის 31 დეკემბერი      | 1,458,847 | 2,165,447             | 788,717                 | 192,544               | 164,914                       | 1,558,541                   | -                           | 6,329,010   |
| 2024 წლის 31 დეკემბერი      | 1,458,847 | 2,113,920             | 989,862                 | 165,026               | 143,072                       | 1,842,624                   | -                           | 6,713,351   |

კომპანიის საკუთრებაში არსებული ძირითადი საშუალება წარმოადგენს ვალდებულებების უზრუნველყოფის ნაწილის, რომელიც დატვირთულია იპოთეკის უფლებით.

ცვეთის ხარჯი ასახულია შენიშვნა 12-ში, კერძოდ ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯებში.

## 5. მარაგები

|                      | 12/31/2024       | 12/31/2023       |
|----------------------|------------------|------------------|
| საქონელი             | 2,751,482        | 2,866,989        |
| საწვავი              | 42,807           | 26,604           |
| ნედლეული და მასალები | 1,751,713        | 4,858,780        |
| მზა პროდუქცია        | 912,508          | 893,960          |
| <b>სულ მარაგები</b>  | <b>5,458,510</b> | <b>8,646,333</b> |

კომპანია უკვე წლებია რაც ოპერირებს ქართულ ბაზარზე, სამშენებლო-სარემონტო მასალებით საცალო და საბითუმო ვაჭრობის სფეროში. შესაბამისად, მას აქვს დიდი რაოდენობით გასაყიდად გამიზნული მარაგები. კომპანია ანხორციელებს თაბაშირი-მუყაოს ფილის, კედლის და ჭერის პროფილის, ფასადის პენოპლასტის, წებოცემენტის, სამშენებლო ბათქაშის, კაფელ-მეტლახის, შპალერის, ლამინირებული იატაკის, კედლის დეკორატიული პანელის, სააბაზანო ინვენტარის, სანტექნიკის მასალებისა და აქსესუარების, სამეურნეო წვრილმანი მასალების რეალიზაციას. შესაბამისად, მისი მარაგების უდიდეს ნაწილს, სწორედ ზემოთ აღნიშნული გასაყიდად გამიზნული მარაგები წარმოადგენს.

მარაგების თვითღირებულება, რომლებიც აღიარდა ხარჯად მოგება-ზარალის ანგარიშგებაში 2024 წლის პერიოდის მანძილზე შეადგენს 16,003,751 ლარს (2023: 18,460,848 ლარი).

## 6. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

|                                          | 12/31/2024       | 12/31/2023       |
|------------------------------------------|------------------|------------------|
| მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან | 1,007,428        | 1,243,486        |
| მომწოდებელზე გადახდილი ავანსები          | 2,148,089        | 242,469          |
| სხვა სავაჭრო მოთხოვნები                  | 1,251            | 3,393            |
| სავაჭრო მოთხოვნების ანარიცხი             | (620,552)        | (453,100)        |
| <b>სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები</b>    | <b>2,536,216</b> | <b>1,036,248</b> |

მოთხოვნები შედგება კომპანიის მიერ წინასწარ გადახდილი თანხებისგან, რეალიზებული საქონლის მისაღები თანხებისგან. მენეჯმენტი მონიტორინგს უკეთებს თითოეულ დებიტორს გაუფასურების მხრივ, ამრიგად, 2024 წლისთვის დებიტორული დავალიანების რეზერვმა შეადგინა 167,452 ლარი.

|                                   | 2024 წლის 31 დეკემბერი | 2023 წლის 31 დეკემბერი |
|-----------------------------------|------------------------|------------------------|
| ანარიცხი 1 იანვრისათვის           | 453,100                | 361,646                |
| ანარიცხი აღიარებული წლის მანძილზე | 167,452                | 91,454                 |
| <b>ანარიცხი 31 დეკემბრისათვის</b> | <b>620,552</b>         | <b>453,100</b>         |

## 7. ფული და ფულის ეკვივალენტები

|                                        | 12/31/2024     | 12/31/2023     |
|----------------------------------------|----------------|----------------|
| ფული ხელზე                             | 15,112         | 26,871         |
| ფული საბანკო ანგარიშებზე               | 883,368        | 243,554        |
| <b>სულ ფული და ფულის ეკვივალენტები</b> | <b>898,480</b> | <b>270,425</b> |

ნაღდი ფულის ნაშთი საბანკო ანგარიშებზე შესაძლოა კლასიფიცირებული იყოს, როგორც არასარიცხო, იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ ბანკები, სადაც კომპანიას მიმდინარე ანგარიშები აქვს, არის სანდო და საყოველთაოდ ცნობილი საკრედიტო დაწესებულებები.

## 8. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

|                                                         | 12/31/2024     | 12/31/2023     |
|---------------------------------------------------------|----------------|----------------|
| მოწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოქმნილი ვალდებულებები | 84,158         | 178,926        |
| მიღებული ავანსები                                       | 40,453         | 38,948         |
| სხვა სავაჭრო და სხვა ვალდებულებები                      | -              | 4,590          |
| <b>სულ სავაჭრო და სხვა ვალდებულებები</b>                | <b>124,611</b> | <b>222,464</b> |

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები წინა პერიოდთან შედარებით მცირებით არის გაზრდილი.

## 9. მიღებული სესხები

|                 | მიმდინარე        |                  | გრძელვადიანი     |                  |
|-----------------|------------------|------------------|------------------|------------------|
|                 | 2024 წლის        | 2023 წლის        | 2024 წლის        | 2023 წლის        |
|                 | 31               | 31               | 31               | 31               |
|                 | დეკემბერი        | დეკემბერი        | დეკემბერი        | დეკემბერი        |
| უზრუნველყოფილი  |                  |                  |                  |                  |
| საბანკო სესხები | 2,940,616        | 4,349,263        | 4,051,070        | 1,337,894        |
|                 | <b>2,940,616</b> | <b>4,349,263</b> | <b>4,051,070</b> | <b>1,337,894</b> |

კომპანიის სესხები შედგება მხოლოდ ბანკებისგან მიღებული გრძელვადიანი და მოკლევადიანი სესხებისგან საბრუნავი კაპიტალის შესავსებად. 2024 წლის 31 დეკემბრისთვის, კომპანიას აქვს ერთი გრძელვადიანი სესხი, დოლარში 13%-ში, რომელიც გაიცა 22.07.2024-ში.

|                            | გრძელვადიანი<br>სესხები | მოკლევადიანი<br>სესხები | სულ              |
|----------------------------|-------------------------|-------------------------|------------------|
| <b>2023 წლის 1 იანვარი</b> | <b>1,757,181</b>        | <b>1,069,044</b>        | <b>2,826,225</b> |
| <u>ფულადი ნაკადების</u>    |                         |                         |                  |
| <u>მოდრაობა</u>            |                         |                         |                  |
| სესხის აღება               | 8,173,320               | -                       | 8,173,320        |
| სესხის დაფარვა             | -                       | (5,319,420)             | (5,319,420)      |
| გადახდილი პროცენტი         | -                       | (361,101)               | (361,101)        |
| <u>არაფულადი ნაკადების</u> |                         |                         |                  |
| <u>მოდრაობა</u>            |                         |                         |                  |
| დარიცხული პროცენტი         | -                       | 361,101                 | 361,101          |
| მოგება/ზარალი საკურსო      | -                       | 7,032                   | 7,032            |
| სხვაობიდან                 | -                       | 7,032                   | 7,032            |
| რეკლასიფიკაცია             | (8,592,607)             | 8,592,607               | -                |

## შპს „ლუკა“

## 2024 წლის ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

ქართულ ლარში

| 2023 წლის 31 დეკემბერი        | 1,337,894        | 4,349,263        | 5,687,157        |
|-------------------------------|------------------|------------------|------------------|
| <u>ფულადი ნაკადების</u>       |                  |                  |                  |
| <u>მომრაობა</u>               |                  |                  |                  |
| სესხის აღება                  | 5,881,850        | 66,895           | 5,948,745        |
| სესხის დაფარვა                | -                | (4,740,724)      | (4,740,724)      |
| გადახდილი პროცენტი            | -                | (637,541)        | (637,541)        |
| <u>არაფულადი ნაკადების</u>    |                  |                  |                  |
| <u>მომრაობა</u>               |                  |                  |                  |
| დარიცხული პროცენტი            | -                | 637,541          | 637,541          |
| მოგება/ზარალი საკუროსო        |                  |                  |                  |
| სხვაობიდან                    | -                | 96,508           | 96,508           |
| რეკლასიფიკაცია                | (3,168,674)      | 3,168,674        | -                |
| <b>2024 წლის 31 დეკემბერი</b> | <b>4,051,070</b> | <b>2,940,616</b> | <b>6,991,686</b> |

## 10. შემოსავალი რეალიზაციიდან

|                                           | 2024              | 2023              |
|-------------------------------------------|-------------------|-------------------|
| შემოსავალი რეალიზაციიდან                  | 21,244,704        | 23,862,606        |
| გაყიდული საქონლის დაბრუნება და ფასდათმობა | (101,431)         | (160,841)         |
| <b>სულ შემოსავალი რეალიზაციიდან</b>       | <b>21,143,273</b> | <b>23,701,765</b> |

კომპანიის შემოსავლის ძირითად წყაროს საცალო და საბითუმო ვაჭრობიდან მიღებული შემოსავლები წარმოადგენს. შემოსავალი გენერირდება სამშენებლო-სარემონტო მასალების საცალო და საბითუმო ვაჭრობით.

## 11. რეალიზებული საქონლის თვითღირებულება

|                                                 | 2024                | 2023                |
|-------------------------------------------------|---------------------|---------------------|
| საქონელი                                        | (9,652,810)         | (11,276,875)        |
| საწვავი                                         | (8,058)             | -                   |
| ნედლეული და მასალები                            | (20,594)            | (25,935)            |
| მზა პროდუქცია                                   | (6,442,232)         | (7,273,961)         |
| შემძენილი საქონლის უკან დაბრუნება და ფასდათმობა | 119,943             | 115,923             |
| <b>სულ რეალიზებული საქონლის თვითღირებულება</b>  | <b>(16,003,751)</b> | <b>(18,460,848)</b> |

## 12. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

|                                         | 2024        | 2023        |
|-----------------------------------------|-------------|-------------|
| შრომის ანაზღაურება                      | (1,317,153) | (1,229,304) |
| ცვეთა და ამორტიზაცია                    | (497,403)   | (410,074)   |
| ავტომობილის რემონტისა და შენახვის ხარჯი | (329,215)   | (195,960)   |
| მივლინების ხარჯი                        | (282,092)   | (295,721)   |

## შპს „ლუკა“

## 2024 წლის ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

## ქართულ ლარში

|                                              |                    |                    |
|----------------------------------------------|--------------------|--------------------|
| საექვმო მოთხოვნებთან დაკავშირებული ხარჯები   | (169,407)          | (91,454)           |
| საწვავი                                      | (140,424)          | (107,279)          |
| თანამშრომლების კვების ხარჯები                | (118,924)          | (98,970)           |
| დაზღვევა                                     | (85,270)           | (64,266)           |
| საბანკო ხარჯები                              | (85,149)           | (142,696)          |
| საბუღალტრო მომსახურების ხარჯები              | (50,847)           | (38,136)           |
| ფიზიკური პირების მიერ გაწეული მომსახურება    | (42,395)           | (11,097)           |
| საკონსულტაციო ხარჯები                        | (40,180)           | -                  |
| სოციალური დანარიცხები                        | (31,229)           | (26,744)           |
| კომუნალური ხარჯები                           | (27,152)           | (30,486)           |
| კომუნიკაციის ხარჯი                           | (18,080)           | (14,624)           |
| იურიდიული მომსახურების ხარჯები               | (18,000)           | (18,000)           |
| ტექ. მომსახურების ხარჯები                    | (14,407)           | (14,151)           |
| სამეურნეო ხარჯი                              | (13,450)           | (30,550)           |
| სპეცტანსაცმელი და უნიფორმა                   | (9,153)            | (11,280)           |
| საოფისე ხარჯი                                | (4,561)            | (7,349)            |
| საკანცელარიო ხარჯები                         | (3,452)            | (3,260)            |
| სხვა საგადასახადო ხარჯები                    | (43,786)           | (39,361)           |
| სხვა საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები       | (425,892)          | (233,144)          |
| <b>სულ საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები</b> | <b>(3,767,621)</b> | <b>(3,113,906)</b> |

საერთო და ადმინისტრაციული ხარჯების ყველაზე დიდ ნაწილს წარმოადგენს შრომის ანაზღაურება.

## 13. ფინანსური ხარჯები

|                            | 2024             | 2023             |
|----------------------------|------------------|------------------|
| საპროცენტო ხარჯი სესხებზე  | (637,541)        | (361,101)        |
| <b>სულ ფინანსური ხარჯი</b> | <b>(637,541)</b> | <b>(361,101)</b> |

გასულ პერიოდში, კომპანიის ფინანსურ ხარჯებს წარმოადგენდა საპროცენტო ხარჯები მიღებული სესხებიდან.

## 14. არასაოპერაციო შემოსავლები

|                                      | 2024           | 2023           |
|--------------------------------------|----------------|----------------|
| შემოსავალი ინვენტარიზაციიდან         | 187,603        | 33,542         |
| მოგება ჯარტის რეალიზაციიდან          | 12,466         | 13,095         |
| სხვა არასაოპერაციო შემოსავალი        | 150,704        | 83,766         |
| <b>სულ არასაოპერაციო შემოსავლები</b> | <b>350,773</b> | <b>130,403</b> |

## 15. არასაოპერაციო ხარჯები

|                                  | 2024             | 2023             |
|----------------------------------|------------------|------------------|
| ძირითადი საშუალების ჩამოწერა     | (15,200)         | (7,583)          |
| დანაკლისი ავანსებიდან            | (435,699)        | -                |
| სხვა არასაოპერაციო ხარჯები       | (82,669)         | (109,583)        |
| <b>სულ არასაოპერაციო ხარჯები</b> | <b>(533,568)</b> | <b>(117,166)</b> |

## 16. ზარალი საკურსო სხვაობიდან

|                                                    | 2024            | 2023            |
|----------------------------------------------------|-----------------|-----------------|
| ფინანსური აქტივები ამორტიზირებული ღირებულებით      | 405,647         | 407,684         |
| ფინანსური ვალდებულებები ამორტიზირებული ღირებულებით | (502,140)       | (479,477)       |
| <b>სულ ზარალი საკურსო სხვაობიდან</b>               | <b>(96,493)</b> | <b>(71,793)</b> |

## 17. ნაშთები და ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაში მხარეები განიხილებიან დაკავშირებული მხარეების სახით, თუ ისინი იმყოფებიან საერთო კონტროლის ქვეშ, ან ერთი მხარე ფლობს მეორე მხარის კონტროლის შესაძლებლობას ან შეუძლია მნიშვნელოვანი ზეგავლენა იქონიოს მეორე მხარეზე ფინანსური ან საოპერაციო ხასიათის გადაწყვეტილების მიღების პროცესში.

თითოეულ დაკავშირებულ მხარეს შორის ყოველი შესაძლო ურთიერთობის განხილვისას ყურადღება გამახვილებულ უნდა იქნას უშუალოდ ამგვარი ურთიერთობის არსზე და არა მხოლოდ სამართლებრივ ფორმაზე.

დაკავშირებულ მხარეთა ოპერაციების მოცულობა, წლის ბოლოსთვის დაუფარავი ნაშთები ასეთი იყო:

| ოპერაციები                                          | 2024        | 2023        |
|-----------------------------------------------------|-------------|-------------|
| <b>მესაკუთრეები და სხვა დაკავშირებული მხარეები:</b> |             |             |
| გაყიდვები                                           | 1,947,147   | 2,080,590   |
| შესყიდვები                                          | 163,630     | 953,021     |
| ხელფასები                                           | 18,367      | 34,795      |
| <b>ნაშთები</b>                                      | <b>2024</b> | <b>2023</b> |
| <b>მესაკუთრეები და სხვა დაკავშირებული მხარეები:</b> |             |             |
| სავაჭრო ვალდებულებები                               | -           | 1,275       |
| სავაჭრო მოთხოვნები                                  | -           | 314,624     |
| გამოცხადებული დივიდენდები                           | 2,126,122   | 2,608,407   |

მენეჯმენტმა მიიღო შემდეგი ანაზღაურება წლის განმავლობაში, რომელიც ჩართულია ხელფასებსა და თანამშრომელთა სარგებელში:

| დაკავშირებულ მხარეებზე გაცემული ხელფასები            | 12/31/2024    | 12/31/2023    |
|------------------------------------------------------|---------------|---------------|
| ხელფასები და ბონუსები                                | 55,209        | 53,010        |
| <b>სულ დაკავშირებულ მხარეებზე გაცემული ხელფასები</b> | <b>55,209</b> | <b>53,010</b> |

## 18. ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულება

სამართლიანი ღირებულება არის საფასური, რომელიც მიიღება აქტივის გაყიდვისას ან გადაიხდება ვალდებულების გადასაცემად ორგანიზებულ ოპერაციაში საბაზრო მონაწილეებს შორის შეფასების

დღეს, ან ასეთის არ არსებობის შემთხვევაში იმ ბაზრის მიხედვით რომელზეც აქვს წვდომა კომპანიას და ყველაზე ხელსაყრელია მოცემული თარიღისათვის. როცა შესაძლებელია, ინსტრუმენტის რეალურ ღირებულებას ჯგუფი განსაზღვრავს მოცემული ინსტრუმენტის მოქმედ ბაზარზე კოტირებული ფასით. ბაზარი მოქმედად ითვლება, თუ აქტივებისა და ვალდებულებების ოპერაციები მიმდინარეობს საკმარისი სიხშირითა და მოცულობით, რათა უზრუნველყოს ინფორმაცია ფასების თაობაზე მუდმივ რეჟიმში.

თუ მოქმედ ბაზარზე არ არსებობს კოტირებული ფასი, კომპანია რეალურ ღირებულებას განსაზღვრავს შეფასების მეთოდების გამოყენებით. შერჩეული შეფასების მეთოდი მაქსიმალურად იყენებს დაკვირვებად საბაზრო მონაცემებს, მინიმალურად ეყრდნობა არასაბაზრო მონაცემებს და ითვალისწინებს ყველა იმ ფაქტორს, რომლებსაც ბაზრის მონაწილეები ფასის დადგენისას მიიღებდნენ მხედველობაში. თავდაპირველი აღიარებისას ამა თუ იმ ფინანსური ინსტრუმენტის რეალური ღირებულების საუკეთესო მტკიცებულება არის გარიგების ფასი, ანუ გადახდილი ან მიღებული საკომპენსაციო თანხის რეალური ღირებულება. თუ კომპანია გადაწყვეტს, რომ რეალური ღირებულება თავდაპირველი აღიარებისას განსხვავდება გარიგების ფასისგან და რეალური ღირებულება არ დასტურდება იდენტური აქტივის ან ვალდებულების მოქმედ ბაზარზე არსებული კოტირებული ფასით და ეს ღირებულება არ ეფუძნება შეფასებას ისეთი მეთოდის საფუძველზე, რომლის ცვლადებიც მოიცავენ მხოლოდ დაკვირვებადი ბაზრების მონაცემებს, ასეთ შემთხვევაში ფინანსური ინსტრუმენტი თავდაპირველად შეფასდება რეალური ღირებულებით, რომელიც დაკორექტირდება სხვაობით ამ ღირებულებასა და გარიგების ღირებულებას შორის. ნებისმიერი სხვაობა ამ ღირებულებასა და შეფასების მეთოდით მიღებულ თავდაპირველ ღირებულებას შორის მოგვიანებით სათანადო წესით აღიარდება მოგებაში ან ზარალში, ინსტრუმენტის სასიცოცხლო ვადის განმავლობაში, მაგრამ არაუგვიანეს იმ დროისა, როცა შეფასება მთლიანად ეყრდნობა დაკვირვებადი ბაზრის მონაცემებს ან როდესაც გარიგება დაიხურება.

კომპანია ადგენს სამართლიან ღირებულებას შემდეგი იერარქიის გამოყენებით:

დონე 1: კოტირებული საბაზრო ფასი (კორექტირების გარეშე) მოქმედ ბაზარზე ანალოგიური ფინანსური ინსტრუმენტისთვის;

დონე 2: მონაცემები გარდა იმისა, რაც შედის პირველ დონეში და რომლებიც თვალსაჩინოა როგორც პირდაპირ (ფასები), ასევე ირიბად (ფასებისაგან წარმოებული). ეს კატეგორია მოიცავს ინსტრუმენტებს, რომლებიც ფასდება შემდეგი მონაცემების გამოყენებით: მოქმედ ბაზრებზე კოტირებული საბაზრო ფასები მსგავსი ფინანსური ინსტრუმენტებისთვის; კოტირებული ფასები მსგავსი ინსტრუმენტებისთვის, რომლებიც ნაკლებად აქტიურად მიიჩნევა; ან შეფასების სხვა მეთოდები, რომლის ფარგლებშიც ყველა მნიშვნელოვანი მონაცემი არის პირდაპირ ან ირიბად თვალსაჩინო, საბაზრო მონაცემებიდან გამომდინარე;

დონე 3: აღნიშნული კატეგორია მოიცავს ყველა ინსტრუმენტს, რომლის ფარგლებში შეფასების მეთოდიცა მოიცავს მონაცემებს, რომლებიც არ ეყრდნობიან თვალსაჩინო მონაცემებს და არათვალსაჩინო მონაცემები მნიშვნელოვან გავლენას ახდენენ ინსტრუმენტის შეფასებაზე. აღნიშნული კატეგორია მოიცავს ინსტრუმენტებს, რომელთა შეფასება ხდება მსგავსი ინსტრუმენტებისთვის კოტირებული ფასების საფუძველზე, რომლის ფარგლებში მნიშვნელოვანი არათვალსაჩინო კორექტირებები ან დაშვებებია საჭირო, რათა აისახოს სხვაობები ინსტრუმენტებს შორის.

სამართლიანი ღირებულების შეფასება, რომელიც გამოყენებულია ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური ინსტრუმენტებისთვის - სავაჭრო და სხვა მოთხოვნები და სავაჭრო და სხვა ვალდებულებები მოხდა მე-2 და მე-3 იერარქიის საფუძველზე. აღნიშნული იერარქიებისთვის მოხდა დისკონტირებული ფულადი ნაკადების მეთოდის გამოყენებით. რეალური ღირებულების

შეფასება არაკოტირებული ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთის მქონე ფინანსური ინსტრუმენტებისთვის მოხდა მოსალოდნელი მომავალი ფულადი ნაკადების საფუძველზე, რომელიც დადისკონტირებულია მიმდინარე საპროცენტო განაკვეთით, რომელიც დამახასიათებელია მსგავსი საკრედიტო რისკის და დაფარვის ვადის მქონე ახალი ფინანსური ინსტრუმენტებისთვის. 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის არ მომხდარა ცვლილება მე-2 და მე-3 დონის შეფასების იერარქიისთვის გამოყენებულ შეფასების მეთოდოლოგიაში. ფული და ფულის ეკვივალენტების რეალური ღირებულება შეფასებულია პირველი დონის მიხედვით.

|                               | 12/31/2024              |                           | 12/31/2023              |                           |
|-------------------------------|-------------------------|---------------------------|-------------------------|---------------------------|
|                               | საბალანსო<br>ღირებულება | სამართლიანი<br>ღირებულება | საბალანსო<br>ღირებულება | სამართლიანი<br>ღირებულება |
| სავაჭრო და სხვა მოთხოვნები    | 2,536,216               | 2,536,216                 | 1,036,248               | 1,036,248                 |
| ფული და ფულის ეკვივალენტები   | 898,480                 | 898,480                   | 270,425                 | 270,425                   |
| სავაჭრო და სხვა ვალდებულებები | 124,611                 | 124,611                   | 222,464                 | 222,464                   |

#### 19. შესადარისი ფინანსური ანგარიშგების გადაანგარიშება

2024 წლის ფინანსურ ანგარიშგებაში განხორციელდა წინა პერიოდის მონაცემების გადაანგარიშება გარკვეული ბალანსის მუხლების მიხედვით. შედეგად, შესწორებული იქნა 2023 წლის შესაბამისი მუხლები, რათა უზრუნველყოფილიყო ფინანსური ანგარიშგების შესადარისობა და სისწორე.

|                                       | ადრე<br>წარდგენილი<br>31/12/2023 | კორექტირება | გადაანგარიშებული<br>31/12/2023 |
|---------------------------------------|----------------------------------|-------------|--------------------------------|
| <b>აქტივები</b>                       |                                  |             |                                |
| <b>გრძელვადიანი აქტივები</b>          |                                  |             |                                |
| არამატერიალური აქტივები               | 20,160                           | -           | 20,160                         |
| ძირითადი საშუალებები                  | 5,416,066                        | (912,944)   | 6,329,010                      |
| <b>სულ გრძელვადიანი აქტივები</b>      | <b>5,436,226</b>                 |             | <b>6,349,170</b>               |
| <b>მოკლევადიანი აქტივები</b>          |                                  |             |                                |
| მარაგები                              | 8,646,333                        | -           | 8,646,333                      |
| სავაჭრო და სხვა მოთხოვნები            | 1,036,248                        | -           | 1,036,248                      |
| ფული და ფულის ეკვივალენტები           | 270,425                          | -           | 270,425                        |
| <b>სულ მოკლევადიანი აქტივები</b>      | <b>9,953,006</b>                 |             | <b>9,953,006</b>               |
| <b>სულ აქტივები</b>                   | <b>15,389,232</b>                |             | <b>16,302,176</b>              |
| <b>კაპიტალი</b>                       |                                  |             |                                |
| საწესდებო კაპიტალი                    | 5,200                            | -           | 5,200                          |
| აკუმულირებული მოგება/(ზარალი)         | 9,409,087                        | (912,944)   | 10,322,031                     |
| <b>სულ კაპიტალი</b>                   | <b>9,414,287</b>                 |             | <b>10,327,231</b>              |
| <b>ვალდებულებები</b>                  |                                  |             |                                |
| <b>გრძელვადიანი ვალდებულებები</b>     |                                  |             |                                |
| გრძელვადიანი სესხები                  | 1,337,894                        | -           | 1,337,894                      |
| <b>სულ გრძელვადიანი ვალდებულებები</b> | <b>1,337,894</b>                 |             | <b>1,337,894</b>               |
| <b>მოკლევადიანი ვალდებულებები</b>     |                                  |             |                                |
| მოკლევადიანი სესხები                  | 4,322,774                        | (26,489)    | 4,349,263                      |

## შპს „ლუკა“

### 2024 წლის ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

ქართულ ლარში

|                                       |                   |        |                   |
|---------------------------------------|-------------------|--------|-------------------|
| საგადასახადო ვალდებულებები            | 65,324            | -      | 65,324            |
| სავაჭრო და სხვა ვალდებულებები         | 248,953           | 26,489 | 222,464           |
| <b>სულ მოკლევადიანი ვალდებულებები</b> | <b>4,637,051</b>  |        | <b>4,637,051</b>  |
| <b>სულ ვალდებულებები</b>              | <b>5,974,945</b>  |        | <b>5,974,945</b>  |
| <b>სულ კაპიტალი და ვალდებულებები</b>  | <b>15,389,232</b> |        | <b>16,302,176</b> |

## 20. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომ ადგილი ჰქონდა პარტნიორების ცვლილებას, კერძოდ 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით პარტნიორები შეადგენდნენ:

ნანული ბიბილეიშვილი - 45%-იანი წილის მფლობელი

ბადრი ჩხიკვაძე - 30%-იანი წილის მფლობელი

ჯაბა ქურიძე - 10%-იანი წილის მფლობელი

დავით ქურიძე - 10%-იანი წილის მფლობელი

ირაკლი ანუშიძე - 5%-იანი წილის მფლობელი

*ხოლო 2025 წლის 6 მარტიდან:*

ნანული ბიბილეიშვილი - 38%-იანი წილის მფლობელი

ბადრი ჩხიკვაძე - 30%-იანი წილის მფლობელი

ჯაბა ქურიძე - 10%-იანი წილის მფლობელი

დავით ქურიძე - 10%-იანი წილის მფლობელი

ირაკლი ანუშიძე - 5%-იანი წილის მფლობელი

ლეილა ბიბილეიშვილი - 7%-იანი წილის მფლობელი

გარდა ზემოთ ნახსენებისა, ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომ ადგილი არ ჰქონია ისეთ მოვლენებს, რომლებიც გამოიწვევდა დამატებით შესწორებებსა და ცვლილებებს მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებაში, გარდა ზემოთ განხილული შემთხვევებისა.

**ფინანსური ანგარიშგება გამოიცა და დამტკიცდა 2025 წლის 25 აგვისტოს:**

**ხელმძღვანელი პირი**

**ბადრი ჩხიკვაძე**

**დირექტორი**

შპს „ლუკა“

2024 წლის ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

ქართულ ლარში

|                                       |                   |        |                   |
|---------------------------------------|-------------------|--------|-------------------|
| საგადასახადო ვალდებულებები            | 65,324            | -      | 65,324            |
| სავაჭრო და სხვა ვალდებულებები         | 248,953           | 26,489 | 222,464           |
| <b>სულ მოკლევადიანი ვალდებულებები</b> | <b>4,637,051</b>  |        | <b>4,637,051</b>  |
| <b>სულ ვალდებულებები</b>              | <b>5,974,945</b>  |        | <b>5,974,945</b>  |
| <b>სულ კაპიტალი და ვალდებულებები</b>  | <b>15,389,232</b> |        | <b>16,302,176</b> |

## 20. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომ ადგილი ჰქონდა პარტნიორების ცვლილებას, კერძოდ 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით პარტნიორები შეადგენდნენ:

ნაწული ბიბილეიშვილი - 45%-იანი წილის მფლობელი

ბადრი ჩხიკვაძე - 30%-იანი წილის მფლობელი

ჯაბა ქურიძე - 10%-იანი წილის მფლობელი

დავით ქურიძე - 10%-იანი წილის მფლობელი

ირაკლი ანუშიძე - 5%-იანი წილის მფლობელი

ხოლო 2025 წლის 6 მარტიდან:

ნაწული ბიბილეიშვილი - 38%-იანი წილის მფლობელი

ბადრი ჩხიკვაძე - 30%-იანი წილის მფლობელი

ჯაბა ქურიძე - 10%-იანი წილის მფლობელი

დავით ქურიძე - 10%-იანი წილის მფლობელი

ირაკლი ანუშიძე - 5%-იანი წილის მფლობელი

ლეილა ბიბილეიშვილი - 7%-იანი წილის მფლობელი


გარდა ზემოთ ნახსენებისა, ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომ ადგილი არ ჰქონია ისეთ მოვლენებს, რომლებიც გამოიწვევდა დამატებით შესწორებებსა და ცვლილებებს მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებაში, გარდა ზემოთ განხილული შემთხვევებისა.

ფინანსური ანგარიშგება გამოიცა და დამტკიცდა 2025 წლის 25 აგვისტოს:

ხელმოწერი პირი

ბადრი ჩხიკვაძე

დირექტორი





შპს „ლუკა“

მ მ ა რ თ ვ ე ლ ო ბ ი ს ა ნ გ ა რ ი შ გ ე ბ ა

საქმიანობის მიმოხილვა

საქართველო, ქ. ბათუმი

2024 წელი

**შპს „ლუკა“**

ს/ნ: 445395796

რეგისტრირებული, როგორც შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება 2011 წლის მარტში.

იურიდიული მისამართი: ქ.ბათუმი,ბაგრატიონის ქ. # 112/ მელიქიშვილის ქ.# 98

ფაქტობრივი მისამართი: ქ.ბათუმი,ბაგრატიონის ქ. # 112/ მელიქიშვილის ქ.# 98

**დირექტორი: ბადრი ჩხიკვაძე**

ტელ: (+995)595332289

## **შ ი ნ ა ა რ ს ი**

1. დირექტორის მიმართვა.
2. თავი I - საქმიანობის ანგარიში: საზოგადოების მართვა, ძირითადი მიღწევები, საქმიანობის განვითარება, შედეგებისა და მდგომარეობის აღწერა, სოციალური და ადამიანურ რესურსებთან მუშაობა.
3. თავი II საზოგადოების განვითარების პერსპექტივები.
4. თავი III - განვითარების სფეროში ჩატარებული ღონისძიებების მიმოხილვა.
5. თავი IV- სოციალური და დასაქმების საკითხები.
6. თავი V - საქმიანობის ძირითადი ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები.
7. თავი VI - გარემოს დაცვა და ნარჩენების მართვა.
8. თავი VII - ძირითადი რისკები და გაურკვევლობები.

### ძვირფასო პარტნიორებო, ფინანსური და მმართველობითი ანგარიშის მომხმარებლებო

წარმოგიდგენთ შპს „ლუკა“-ს 2024 წლის ანგარიშს, რომლის ვალდებულებაც კანონის მიხედვით გაგვიჩნდა პირველად. შპს „ლუკა“-ს დირექტორად დანიშნული ვარ 2011 წლის 31 მარტიდან სადამფუძნებო კრების მიერ.

როგორც მოგეხსენებათ, 2011 წელს აუქციონის წესით ქ. ბათუმში, კერძოდ სამრეწველო ზონაში ოპიზრების 67 - ში შევიძინეთ 6 492 კვ.მ. მიწის ნაკვეთი, რომელზეც საკუთარი ძალებით მოვახდინეთ 3854 კვადრატული მეტრი შენობა ნაგებობის აშენება, სადაც განთავსდა საოფისე ფართები და სამრეწველო დანადგარები წარმოების დასაწყებად. კომპანიის თავის დროზე დაფუძნებულ იქნა შპს „ლუკა 2010“ ის მიერ, რომელმაც მოახდინა შპს ლუკა-ს ინვესტირება დანადგარებითა და ფულადი სახსრებით. 2011 წლიდან ჩვენს მიერ შესრულებულ იქნა არაერთი მნიშვნელოვანი პროექტი ქ. ბათუმში, პირველმა მოვახერხეთ ქართული ბაზრისთვის მიგვეწოდებინა საქართველოში შექმნილი პროდუქტი. წარმოების ხაზის განვითარებამ და პარტნიორთა სწორმა მიმართულებამ არ დააყოვნა, დაიწყო კომპანიის საბრუნავი საშუალებების ზრდა, ასევე მნიშვნელოვანი იყო კომპანიისთვის ბანკის მხარდაჭერა, რომელიც ახდენდა ბიზნესის განვითარებისთვის საჭირო ფინანსური სახსრებით უზრუნველყოფას. კომპანიის დამფუძნებლების ძირითადი მიზანია შევქმნათ ადგილობრივი წარმოების პროდუქტები, რომელიც ჯანსაღ კონკურენციას გაუწევს იმპორტირებულ საქონელს. ასევე დიდი როლს თამაშობს საბოლოო მომხმარებლის მხარდაჭერა შესყიდვის საქონლის რეალიზაციის მომენტში, მათთვის ერთგვარად სტიმულია შეიძინონ ადგილობრივი წარმოების პროდუქტი.

კომპანიის წარმატების ერთ-ერთი განმსაზღვრელი იყო, შეგვეძინა დანადგარები რომლითაც მოხდებოდა პროდუქციის წარმოება. დამფუძნებლების მხრიდან ყოველთვის არსებობდა მზაობა ინვესტიციები გაგვეხორციელებინა დანადგარებში, რაც ერთობლივ გადაწყვეტილებას წარმოადგენდა.

კომპანიისთვის ასევე მნიშვნელოვანი იყო სავაჭრო წერტილით უზრუნველყოფა, გაზრდილი კონკურენციის ფარგლებში ბაზარზე შესაბამისი სარეალიზაციო წერტილის არსებობა აუცილებელი გახდა, რადგანაც საბოლოო მომხმარებელთან პირდაპირ მოგვეხდინა პროდუქციის მიწოდება. 2014 წელს კომპანიამ ქ. ბათუმში ბაგრატიონის ქ. 112 ში შეიძინა მიწის ნაკვეთი, სადაც ასევე საკუთარი ძალებით მოახდინა კაპიტალური შენობა ნაგებობის ე.წ „მაღაზია ევროპული სახლის“ სახელის ქვეშ სავაჭრო წერტილის ორგანიზება.

კომპანია "ლუკა" წარმოადგენს გერმანული ბრენდის KNAUF -ის ოფიციალურ პარტნიორს აჭარის რეგიონში. მომხმარებლებს ვთავაზობთ კომპანია კნაუფის მიერ წარმოებულ თაბაშირ-მუყაოს ფილებს, ფითხებს, საშენ მასალებს როგორც საბითუმო, ისე საცალო ფასებში.

კომპანია "ლუკა" აწარმოებს თაბაშირ-მუყაოს ფილის პროფილებისა და აქსესუარების ნაირსახეობას. ასევე კომპანია აწარმოებს მაღალი ხარისხის მოთუთიებულ (გალვანიზირებული, შეღებილი) თუნუქისგან შენობა-ნაგებობების გადასახურ სხვადასხვა სახის (გოფირებული თუნუქი, პროფილირებული ანუ პროფნასტილი, მეტალოკრამიტი, ბრტყელი ნაგლინი) მასალებს და მის აქსესუარებს.

კომპანია "ლუკა" აღჭურვილია თანამედროვე კომპიუტერული დანადგარებით, რომელიც უზრუნველყოფს პროგრამულ დამუშავებას, ეს კი გაძლევთ შესაძლებლობას, შეუკვეთოთ და მიიღოთ თქვენთვის სასურველი პროდუქცია როგორც პროფილის, ასევე გადასახური მასალის.

2016 წლიდან აქტიურად დავიწყეთ ევროპული საშენი და სარემონტო მასალების მწარმოებელი კომპანიებისგან უმაღლესი ხარისხის პროდუქციის იმპორტი, რომელიც მნიშვნელოვანი ფაქტორი იყო კომპანიის შემოსავლებისა და მოგების ზრდისათვის.

კომპანია "ლუკა" სერთიფიცირებულია საერთაშორისო სტანდარტ ISO 9001:2015 შესაბამისობაზე.

წარმატებები, რომელიც მიღწეულია დაკავშირებულია საწარმოში მომუშავე პროფესიონალ კადრებთან, რომლებიც ძალას არ იშურებენ წარმატებისთვის.

2024 წელს მიღწეული შედეგები გვაძლევს რწმენას იმისა, რომ, ხელსაყრელ გარემოებებში, მომავალში საზოგადოება შეძლებს გააუმჯობესოს მიღწეული მაჩვენებლები. დასახული მიზნების თანმიმდევრული მიღწევით, რთული ამოცანების გადაჭრით, საზოგადოებას განზრახული აქვს 2024 წელსაც გააგრძელოს მუშაობა ახალი ტექნოლოგიების დანერგვაზე, მართვის სისტემის სრულყოფაზე, შემსყიდველების მომსახურების ხარისხის გაუმჯობესებაზე და ფინანსურ-ეკონომიკური მაჩვენებლების ამაღლებაზე.

შპს „ლუკა“-ს

დირექტორი

ბადრი ჩხიკვაძე



## თავი I

### საქმიანობის ანგარიში

#### საზოგადოების მართვა

#### საზოგადოების კრება

საერთო კრება წარმოადგენს საზოგადოების მართვის უმაღლეს ორგანოს.

საკუთარი საქმიანობის წარმართვისას პარტნიორთა საერთო კრება ხელმძღვანელობს საქართველოს კანონმდებლობით და საზოგადოების წესდებით.

პარტნიორთა საერთო კრებაზე საზოგადოებამ შესაძლებელია გამოაცხადოს დივიდენდების განაწილების შესახებ, განაწილებას დაქვემდებარებულ მოგებასთან დაკავშირებით. საზოგადოება არ არის უფლებამოსილი მიიღოს გადაწყვეტილება დივიდენდების გადახდაზე, მოგების არარსებობისას, დაუშვებელია ასევე დივიდენდების გაცემა თუ საწარმოს ფუნქციონირება დგას რისკის ქვეშ.

პარტნიორების ძირითადი უფლებები – დივიდენდების მიღების უფლება და საზოგადოების მართვაში მონაწილეობის უფლება – განსაზღვრულია „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონში და საზოგადოების წესდებაში.

საზოგადოების პარტნიორებს უფლება აქვთ მიიღონ მონაწილეობა საზოგადოების მართვაში, პირველ რიგში პარტნიორთა კრებაზე მათ კომპეტენციაში შემავალ საკითხებზე გადაწყვეტილებების მიღების გზით.

პარტნიორთა საერთო კრება წარმოადგენს საზოგადოების მართვის უმაღლეს ორგანოს.

საზოგადოების წესდებით საზოგადოების წევრს არ აქვს უფლება წილი გაასხვისოს პარტნიორთა თანხმობის გარეშე. ამასთან ერთად „მეწარმეთა შესახებ კანონში“ დამატებული მუხლები წილის გასხვისების უფლებას არ იძლევა თუ ყველა პარტნიორი არ იქნა თანახმა. რის გამოც რამდენიმე პარტნიორს შეეძენა ბარიერი წილის გასხვისებასთან დაკავშირებით. (ორი პარტნიორი გარდაცვლილია და მემკვიდრეობა არ არის აღდგენილი, რამოდენიმე იმყოფება უცხოეთში).

ამასთან დაკავშირებით იგეგმება საკითხის პარტნიორთა კრებაზე განხილვა და წესდებაში შესაბამისი ცვლილების შეტანა:

- პარტნიორს თავისი წილი ან წილის ნაწილი შეეძლება გაასხვისოს ნებისმიერ სხვა პირზე და საზოგადოების პარტნიორები წილის ან წილის ნაწილის შეძენის უპირატესი უფლებით არ ისარგებლებენ.
- პარტნიორის მიერ წილის ან წილის ნაწილის გასხვისებას ან დაგირავებას არ სჭირდება პარტნიორთა კრების თანხმობა.
- წილის (წილის ნაწილის) გასხვისების შემდეგ, შემძენზე გადადის ყოფილი პარტნიორის ყველა უფლება-მოვალეობა.
- პარტნიორის წილი გადადის მემკვიდრეობით და მემკვიდრის (მემკვიდრეთა) მიერ წილის მიღება არ საჭიროებს პარტნიორთა კრების თანხმობას. წილის მემკვიდრე(ები) ხდება (ხდებათ) საზოგადოების პარტნიორ(ებ)ი.

აღნიშნული ცვლილებით პარტნიორის უფლება ექნება თავისი კუთვნილი წილი თავისუფლად განკარგოს

## საზოგადოების დირექტორი

საზოგადოების წესდების შესაბამისად, ერთპიროვნული აღმასრულებელი ორგანოს უფლებამოსილებას ანხორციელებს დირექტორი.


საზოგადოების დამფუძნებელთა კრების გადაწყვეტილებით (2011 წლის 29 მარტი ოქმი #01) 2011 წლის 31 მარტიდან შპს „ლუკა“-ს დირექტორად არჩეულ იქნა ბადრი ჩხიკვაძე დაბადების წელი 1972, საქართველოს მოქალაქე, საზოგადოების 30%-ის მფლობელი.

## მართვის სტრუქტურა

საწარმოში შინაგანაწესი შემუშავებული და დამტკიცებულია კანონმდებლობის მოთხოვნათა შესაბამისად. შინაგანაწესის მიზანია საწარმოს წესდებით განსაზღვრული ფუნქციების სრულყოფილად განხორციელება. განმარტებულია სამუშაო დროის და პირობების, მუშაკთა უფლებების, მოვალეობების და პასუხისმგებლობების შესახებ.

ყველა სტრუქტურული ერთეულის და თანამდებობის მიხედვით მომზადებულია თანამდებობრივი უფლება-მოვალეობები, რომელიც თითოეული თანამშრომლის სამოქმედო გეგმაა.

დირექტორი საზოგადოების მართვას ანხორციელებს ქვემოთ მოცემული სტრუქტურის მეშვეობით.



## საქმიანობის მიმოხილვა

შპს „ლუკა“ საქმიანობის ძირითადი სახეობებია:

1. შეკიდული ჭერის პროფილებისა და გადასახური მასალების წარმოება.
2. საცალო და საბითუმო სამშენებლო მასალების რეალიზაცია.

## თავი II.

### საზოგადოების განვითარების პერსპექტივები

საზოგადოების განვითარების ძირითადი პერსპექტივებია:

- საზოგადოების შემოსავლების ზრდა და დებიტორული დავალიანების შემცირება;
- მომხმარებლების მომსახურების საიმედოობის და ხარისხის ამაღლება;
- არსებული ძირითადი საშუალებების ექსპლოატაცია ნორმების და მისთვის განსაზღვრული პირობების შენარჩუნებით, თავისდროული მიმდინარე და კაპიტალური შეკეთება;

მიმდინარე გეგმები:

- 2024 წლის ბოლოდან დაწყებული იგეგმება წარმოებული საქონლის ექსპორტად გატანა.
- ახალი ინვესტიციების მოზიდვა

განვითარების რესურსები:

- კომპანიას აქვს შესაბამისი მატერიალური ბაზა პროდუქციის ერთეულის წარმოების გაზრდისთვის
- გვაქვს შესაბამისი ავტომობილები, რომლითაც შესაძლებელია ლოჯისტიკური მიმართულებების ათვისება.
- კომპანიას აქვს შესაბამისი ფინანსური რესურსი
- არსებული რესურსები საკმარისია სოლიდური სამუშაოების საწარმოებლად.





### თავი III

#### განვითარების სფეროში ჩატარებული ღონისძიებების მიმოხილვა


საწარმო საქმიანობის მაღალხარისხოვნად შესრულებისთვის სისტემატიურად ანხორციელებს ინვენსტიციებს მანქანა-მექანიზმების შესაძენად. დღევანდელი მოთხოვნების შესასრულებლად საჭიროა თანამედროვე, მაღალტექნოლოგიური მანქანა-მექანიზმები.

აღნიშნულ მოთხოვნებს სრულად პასუხობს ბოლო წლებში შეძენილი ტექნიკა:

- შეძენილ იქნა პენოპლასტის 3D საჭრელი მოწყობილობა;
  - უ. დ პროფილის დასამზადებელი დანადგარი
  - პენოპლასტის საჭრელი და შესაფუთი მოწყობილობა;
  - ც.დ პროფილის დასამზადებელი დანადგარი;
  - ტრაპეციული სახურავის დასამზადებელი მანქანა დანადგარი;
  - პენოპლასტის გადასამუშავებელი დანადგარი;
  - მინაპლასტიკური არმატურის დასამზადებელი დანადგარი;
  - ცივსაგლინი დგარი ლითონის დამუშავებისთვის;
  - ჩარხი ლითონის პროფილების დასამზადებელი;
  - ლითონის ფურცლოვანი მასალების დასამუშავებელი ჩარხი;
- მნიშვნელოვანია გადაიარაღების მიზნით გატარებული ღონისძიებები. კერძოდ:*
- გაახლდა ავტოპარკი.


საზოგადოება წლიდან წლამდე ზრდის ინვენსტიციებს საწარმოში, დასტურად წარმოვადგენთ რამდენიმე სქემას:

#### 1. ბოლო 3 წელში აქტივების ზრდა




## ინვესტიციების მოცულობა

### 2. შემოსავლების დინამიკა 2022 წლიდან 2024 წლის ჩათვლით



### 3. დასაქმებულთა რაოდენობის დინამიკა 2022-2024 წლებში



## თავი IV

### სოციალური და დასაქმების საკითხები

შესასრულებელი პროექტების და საწარმოს წარმატებით ფუნქციონირებისათვის მნიშვნელოვანია მომუშავე პერსონალი. ამ საკითხებთან მუშაობს ადამიანურ რესურსების მართვის სამსახური.

პერსონალთან მუშაობა იწყება მიღების დღიდან. პირველ რიგში ვაცნობთ საწარმოს შიგა განაწეს, თანამდებობრივ ინსტრუქციას, უსაფრთხოების წესებს და სამსახურში მიღება ხდება საგამოცდო ვადით.

მუშაკის მოტივაციის გაზრდის მიზნით შემუშავებული გვაქვს თანრიგების სისტემა, თითოეულ თანრიგს აქვს თავის ანაზღაურება. საწარმოში ანაზღაურება გვაქვს საათობრივი, დღიურად, შესრულებული ერთეულის მიხედვით და სარგო. აღნიშნული სისტემა შემუშავებულია წინა პერიოდების გამოცდილებით და ემსახურება პერსონალის მოტივაციის გაზრდას, სამართლიან ანაზღაურებას და საბოლოო ჯამში სამუშაოს ხარისხიანად და დროულად შესრულებას.

მცაკრად ხდება შრომის კოდექსით მოთხოვნილი პირობების დაცვა.

მუშაკს მოეთხოვება მასზე დაკისრებული ვალდებულებების შესრულება, მისი დარღვევისთვის სასჯელი განსაზღვრულია გაფრთხილებიდან განთავისუფლებამდე.

შპს „ლუკა“ აღიარებს და მოქმედებს საქართველოში არსებული შრომითი კანონმდებლობის ფარგლებში, ასევე ითვალისწინებს ამ დროისთვის საქართველოს მიერ “შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის (ILO)” რატიფიცირებულ 16-ვე კონვენციას.

საზოგადოება უზრუნველყოფს, თანამშრომლებისთვის სისტემატიურ ყოველთვიურ ანაზღაურებას, მათი შრომისუნარიანობისა და კვალიფიკაციის ზრდას. შპს “ლუკა“-ს მიზანი საზოგადოების მაღალკვალიფიციური კადრებით უზრუნველყოფაა. შესაბამისად ანხორციელებს თანამშრომელთა კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსების დაგეგმვა-ადმინისტრირებას და მათ პროფესიულ გადამზადებას სხვადასხვა თემატური ტრეინინგებით და მოდულებით, როგორც ქართველი ისე უცხოელი სპეციალისტების დახმარებით.

შპს „ლუკა“ ანხორციელებს თანამშრომელთა სამუშაო ადგილზე ჯანმრთელობის და უსაფრთხოების ნაკისრი საერთაშორისო ვალდებულებების შესრულებას. რაც გამოიხატება დასაქმებულე-ბისათვის რეგულარული სემინარების ჩატარებით და საზოგადოების „შრომისა და უსაფრთხოების პოლიტიკის“ ფარგლებში ყოველდღიური ინსპექციების განხორციელებით.

საზოგადოება ასევე ითვალისწინებს იმ მომხმარებლებს, რომლებიც მიეკუთვნებიან სოციალურად დაუცველთა ჯგუფს და სთავაზობს მათ შეღავათიან ფასებში თავის პროდუქტსა და მომსახურებას.

შპს „ლუკა“-ს მუშაობის სპეციფიკიდან გამომდინარე დასაქმებულთა უმეტესობა მამრობით სქესის წარმომადგენელია, ამ ეტაპზე მხოლოდ ადმინისტრაციაში არიან დასაქმებულები მდედრობითი სქესის თანამშრომლები. თუმცა აღსანიშნავია, რომ არ ხდება გენდერული ნიშნით კადრების შერჩევა, რადგან საზოგადოებისათვის მიუღებელია ნებისმიერი სახის დისკრიმინაცია კადრების შერჩევისას, სამუშაო ადგილზე, თუ საზოგადოების საქმიანობის განხორციელებისას, დისკრიმინაცია, რომელიც შეიძლება გამოხატული იყოს უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებების შეზღუდვით, მათ შორის გენდერული ნიშნით.

#### ადამინის უფლებების დაცვა

შპს “ლუკა“ იზიარებს ანტიკორუფციული სააგენტოების საერთაშორისო გამოცდილებასა და რეფორმებს. საზოგადოების თითოეულ ბაზაზე და სამუშაო სივრცეში განლაგებულია მუდმივად მოქმედი სათვალთვალო კამერები, ასევე სამუშაოების მიმდინარეობის დროს რეგულარულად ხორციელდება სამუშაოს მონიტორინგი. ობიექტზე იმყოფებიან სამუშაოთა მწარმოებლები, რომლებიც იზიარებენ არსებულ პასუხისმგებლობას და საზოგადოების ინტერესებიდან გამომდინარე მოქმედებენ ანტიკორუფციული პოლიტიკის შესაბამისად.


შპს „ლუკა“ მუშაობს გამჭვირვალედ და სამართლებრივი ჩარჩოების ფარგლებში, ასევე მჭიდროდ თანამშრომლობს ნემისმიერ ორგანიზაციასთან ადამიანთა უფლებათა დაცვის საკითხების სათანადო შესწავლის და დაცვის მიზნით განხორციელებულ ღონისძიებებში.

თავი V

საქმიანობის ძირითადი ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები

საანგარიშო პერიოდში შეკიდული ჰერის პროფილებისა და გადასახური მასალების წარმოება სახეობების მიხედვით:

| დასახელება     | 2024 წლის ბოლოს<br>არსებული ნაშთი | რეალიზებული<br>ცალი | წარმოებული<br>ცალი |
|----------------|-----------------------------------|---------------------|--------------------|
| აგრაფი 40 სმ   | 5000                              | 8900                | 9800               |
| აგრაფი 7.5 სმ  | 46 045                            | 127 336             | 142 181            |
| აგრაფი 12.5 სმ | 247 661                           | 455 997             | 535 741            |
| აგრაფი 20 სმ   | 29 120                            | 139 025             | 127 346            |
| მავთული 40 სმ  | 18 000                            | 20 806              | 28 806             |
| ც.დ პროფილი    | 152 804                           | 635 583             | 670 791            |
| უ.დ პროფილი    | 82 701                            | 397 379             | 402 454            |
|                |                                   |                     |                    |
| <b>ჯამი</b>    | <b>580 331</b>                    | <b>1 785 026</b>    | <b>1 917 119</b>   |



ინფორმაცია ენერგეტიკული რესურსების გამოყენების მოცულობის შესახებ

2024 წელს შპს „ლუკას“ მიერ გამოყენებული იქნა შემდეგი სახეობის ენერგეტიკული რესურსები:

| N | დასახელება      | განზ. ერთეული | რაოდენობა | ღირებულება (ლარი) |
|---|-----------------|---------------|-----------|-------------------|
| 1 | 2               | 3             | 4         | 5                 |
| 1 | ელექტროენერგია  | კვ/სთ         | 95948     | 54518.62          |
| 2 | ბუნებრივი აირი  | მ3            | 12357     | 15940.53          |
| 3 | დიზელის საწვავი | ლიტრი         | 19400     | 56953             |
| 4 | ბენზინი         | ლიტრი         | 18831.53  | 41567.18          |

## საზოგადოების ფინანსური მდგრალობის მაჩვენებლები

2024 წლის ფინანსური მდგომარეობის კოეფიციენტები:

$$\text{ლიკვიდობის კოეფიციენტი} = \frac{\text{საბრუნავი აქტივები}}{\text{კრედიტორული დავალიანებები}} = \frac{10\,389\,123.92}{306\,367.95} = 33.91$$

2024 წლის ინვესტიციების გამოყენების კოეფიციენტები:

$$\begin{aligned} \text{აქტივების ბრუნვა} &= \frac{\text{შემოსავალი რეალიზაციიდან}}{\text{სულ აქტივები}} = \frac{21\,143\,273.36}{15\,490\,398.58} = 1.36 \\ \text{მ. ს. გამოყენების ინტენსივობა} &= \frac{\text{შემოსავალი რეალიზაციიდან}}{\text{მ.ს. ღირებულება}} = \frac{21\,143\,273.36}{6\,509\,667.96} = 3.25 \end{aligned}$$

### თავი VI

#### გარემოს დაცვა და ნარჩენების მართვა

გარემოსდაცვითი კანონმდებლობის შესახებ საზოგადოება ახორციელებს თვითკონტროლსა და თვითმონიტორინგს. მონიტორინგის სისტემა წარმოადგენს გარემოს მდგომარეობაზე დაკვირვებით მიღებული ინფორმაციის ანალიზსა და პროგნოზირების ერთობლიობას.

საწარმოს მიერ მონიტორინგის ორგანიზება წარმოადგენს შემდეგი ამოცანების გადაჭრას:

- საწარმოს ექსპლუატაციის დროს მოქმედი გარემოსდაცვითი კანონმდებლობის მოთხოვნათა შესრულება;
- რისკების თავიდან აცილება და მოსალოდნელი მავნე ზემოქმედების კონტროლი;
- დაინტერესებული პირების უზრუნველყოფა სათანადო გარემოსდაცვითი ინფორმაციით;
- ნეგატიური ზემოქმედების შემარბილებელი ღონისძიებების განსაზღვრა;
- საწარმოს ექსპლუატაციის პროცესში პერიოდული გარემოსდაცვითი კონტროლი (კვარტალში ერთჯერ);
- დაკვირვება გამწმენდი ნაგებობების ეფექტურ მუშაობაზე.

გარემოში მავნე ნივთიერებათა კონცენტრაციების გადაჭარბების შემთხვევაში საწარმოს ხელმძღვანელი მიიღებს შესაბამის ზომებს. საწარმოს მიერ ატმოსფერული ჰაერის მონიტორინგი იწარმოება წინასწარ დადგენილ წერტილებში.

გამუდმებით ვცდილობთ თავიდან ავიცილოთ, მინიმუმამდე შევამციროთ და შევარბილოთ ჩვენი საქმიანობით გამოწვეული ზემოქმედება გარემოზე. ჩვენ მივმართავთ კონკრეტულ ქმედებებს ბუნებრივი გარემოს დასაცავად, რაც ჩვენი გრძელვადიანი გეგმების ზედმიწევნით შესრულებით და ავარიულ სიტუაციებზე რეაგირების ქმედითი ღონისძიებებით გამოიხატება. ვიყენებთ მართვის სისტემურ მიდგომებს გარემოს დაცვის სფეროში (OMS). გარემოსდაცვითი მენეჯმენტის სისტემის განხორციელების პასუხისმგებლობა ხელმძღვანელ გუნდს ეკისრება.

ჩვენი მიზანია არ მივაყენოთ ზიანი ბუნებას და ჩვენი სამუშაოთი გამოწვეული გარემოზე ზემოქმედება მინიმუმამდე დავიყვანოთ.

## ნარჩენების მართვა

ნარჩენების შემცირებისა და მართვის გაუმჯობესების მიზნით ჩვენ მუდმივად ინოვაციური და ეფექტიანი გზების ძიებაში ვართ. სახიფათო ნარჩენების შემცირების მიზნით გავატარეთ რიგი ღონისძიება, რომელიც გათვალისწინებულია საქართველოს კანონით ნარჩენების შესახებ. დავნიშნეთ ნარჩენების მართვის მენეჯერი, სახიფათო ნარჩენებს ვინახავთ კანონის შესაბამისად და ვთანამშრომლობთ კომპანიასთან რომელსაც გააჩნია სრული უფლებამოსილება სახიფათო ნარჩენების განადგურების რაც დასტურდება საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს მიერ 29.12.2015წელს გაცემული ექსპერტიზის დასკვნა N74 და #1037 ბრძანებით და 16.01.2017წელს გაცემული #000233, MD 1, ნებართვით.

## თავი VII

### ძირითადი რისკები და გაურკვევლობები

საწარმოს მიერ საქმიანობის წარმატებით განხორციელებისთვის მნიშვნელოვანია რისკის მართვა. ყველა უბანზე და თითოეულ პროექტზე ვადგენთ რისკების მართვის სისტემას. ვითვალისწინებთ საგარეო, შიდა და საქმიანობასთან დაკავშირებულ რისკებს.

ჩვენთვის რისკის მართვის მთავარი ამოცანაა რისკების იდენტიფიკაცია და საპასუხო ღონისძიებების გატარება. რისკის მართვის საშუალებით ვავლენთ პოტენციურ დადებითი, თუ უარყოფითი ფაქტორები, რაც

მნიშვნელოვანი რისკია ტექნიკის მწყობრიდან გამოსვლა, რაც იწვევს სამუშაო პროცესის შეჩერებას და ფინანსურ დანაკარგებს, აღნიშნული რისკის შესამცირებლად:

- ვახდენთ მწყობრიდან გამოსული მექანიზმის ჩანაცვლებას.
- სწრაფად უცვლით დაზიანებულ ნაწილს (მარაგში სულ გვაქვს სათანადარიგო ნაწილები, რომლებიც ადვილად ზიანდება)
- თუ საჭიროება მოითხოვს თურქეთიდან რამდენიმე დღეში ჩამოგვაქვს დაზიანებული ნაწილი ან იქ ვახდენთ ნაწილის აღდგენას.
- თუ მექანიზმის აღდგენას ჭირდება გარკვეული დრო, უბანზე ვცვლით დაგეგმილ სამუშაოებს ოპტიმალური ვარიანტით.

პროექტის მუშაობისას ბუნებრივი მოვლენების შედეგად გამომდინარე რისკია: წყალდიდობა, მიწისძვრა, მეწყერი და სხვა მსგავსი, რომელსაც ვაზღვევთ სადაზღვეო კომპანიის მეშვეობით.

ქონებრივი რისკები დაკავშირებულია საწარმოს ქონების დაკარგვის ალბათობასთან რაც გამოწვეულია ქურდობის, დაუდევრობის, ტექნიკური და ტექნოლოგიური სისტემების უსაფრთხოების უგულველყოფის შედეგად. ასევე ქონება შეიძლება დაზიანდეს ხანძრის, წყალდიდობის, ქარიშხლის ან მრავალი სხვა მიზეზის გამო. ამ რისკების შესამცირებლად:

- გაზრდილი გვაქვს მ/პასუხისმგებელი პირების და უშუალო ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა.
- ვაზღვევთ ქონებას.
- მანქანა/მექანიზმებს უტარდება ტექნიკური შემოწმებები და დათვალიერება.
- ვიძენთ ხარისხიან საწვავ-საცხებ მასალებს. დროულად ხდება ზეთების შეცვლა, რაც ახანგრძლივებს ნაწილების მუშა მდგომარეობაში ყოფნას.

რისკების მართვაში უმნიშვნელოვანესი ადგილი აქვს მაღალი კვალიფიკაციის კადრების ყოლას, რისთვისაც:

- საზოგადოება ხარჯავს დიდ დროს და თანხებს.
- გაიცემა მაღალი ანაზღაურება.
- სისტემატიურად იგზავნებიან კვალიფიკაციის ასამაღლებელ კურსებზე

- პასუხიმგებელი არიან მიმაგრებულ მექანიზმის გამართულ მუშაობაზე და მისთვის დროულად პროფილაქტიკური სამუშაოების ჩატარებაზე.

ფინანსური ინსტრუმენტის რეალური ღირებულება ან მომავალი ფულადი ნაკადები იცვლება საბაზრო ფასების ცვლილებების გამო. ბაზრის რისკი მოიცავს სავალუტო რისკს. საბაზრო რისკი წარმოიშობა საპროცენტო განაკვეთების მატარებელი ფინანსური ინსტრუმენტების ღია პოზიციებიდან, რომლებიც რეაგირებენ ზოგად და კონკრეტულ საბაზრო ცვლილებებსა და სავალუტო კურსების რყევებზე.

გამოცდილებამ გვიჩვენა, რომ გრძელვადიანი პროექტების შემთხვევაში კურსის ცვლილება მნიშვნელოვან გავლენას ახდენს საზოგადოების ფინანსურ მდგომარეობაზე. ამ რისკის შესამცირებლად ობიექტზე საჭირო მარაგებს ვიძენთ პროექტის დაწყებისთანავე და მთელ მიღებულ ავანსს მივმართავთ ობიექტისთვის საჭირო მასალებზე. მაგრამ ეს მხოლოდ ნაწილობრივ ამცირებს რისკს.

ხელმძღვანელობა უზრუნველყოფს დაწესებულებაში რისკის მართვის გამართული სისტემის ჩამოყალიბებას და ფუნქციონირებას, ხოლო შიდა აუდიტი ახდენს არსებული რისკის მართვის სისტემის შეფასებას და მის გასაუმჯობესებლად შესაბამისი რეკომენდაციების გაცემას.

### **მმართველობის ანგარიშგების დამტკიცება**

დირექტორმა მმართველობითი ანგარიშგება დაამტკიცა და მისი გამოცემის ნებართვა გაცა, 2025 წლის 9 თებერვალს.

